ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

საქართველოს
სახალხო დამცველი

2017 წელი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მეთოდოლოგია 4

თავშესაფრის სერვისის მოკლე აღწერა და ძირითადი მიგნებები 7

თავშესაფრებში ბენეფიციართა მიღება–გადინება 9

პერსონალური ინფორმაციის დაცვა და დოკუმენტირების პროცედურები 12

თავშესაფრის ბენეფიციართა დამოკიდებულება და შეფასებები 13

თავშესაფარში განთავსებული დამოკიდებული პირების ზოგადი მდგომარეობის შეფასება 17

თავშესაფრის ადმინისტრაცია 18

თავშესაფარში ქცევის ნორმები და სხვა წესები 23

უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები 25

თავშესაფარში მცხოვრები პირების ჯანმრთელობის დაცვა 27

ფიზიკური გარემო, უსაფრთხოება და სანიტარული მდგომარეობა 29

კვება 36

სოციალური აქტიურობის ხელშეწყობა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა 39

მსხვერპლთა/დაზარალებულთა როლი გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში 43

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგი 45

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ამსახველ სპეციალურ ანგარიშს.

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მონიტორინგი განახორციელა საქართველოში მოქმედ, ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა ყველა სახელმწიფო თავშესაფარში (შემდგომში თავშესაფრები), კერძოდ, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და სიღნაღის თავშესაფრებში.

მონიტორინგი მიზნად ისახავდა თავშესაფრებში არსებული მდგომარეობის შეფასებას, ასევე მისი შესაბამისობის შემოწმებას შიდა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა გარანტიებთან,[1] სახალხო დამცველის მიერ თავშესაფრების მონიტორინგი განხორციელდა არაგეგმიურად, თავშესაფრის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა თავშესაფარში არსებული ფიზიკური გარემო, კვების კუთხით არსებული მდგომარეობა და სერვისის მიწოდების ხარისხი. შეფასდა ბენეფიციართა საჭიროებები და პერსონალზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები; მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო დედათა და ბავშვთა მდგომარეობის შეფასებას და მოხდა როგორც პერსონალის, ისე ბენეფიციართა გამოკითხვა.

კვლევის მეთოდოლოგია

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად,[2] საქართველოს სახალხო დამცველს, შემოწმების ჩატარებისას, უფლება აქვს დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, სპეციალური რწმუნების საფუძველზე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგი განახორციელეს.

---

[1] ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf

[2] „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 2017 წლის 20 იანვრის რედაქციით. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1176.pdf

მონიტორინგის განხორციელებისას, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა იხელმძღვანელა შემდეგი დოკუმენტებით:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები;[3]
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის ქუთაისის/გორის/თბილისის და სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი;[4]
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №183/ნ /2008 წლის 28 ივლისი/ თბილისი/ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ;[5]
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N437 /2006 წლის 18 ივლისი/ თბილისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.[6]

მონიტორინგის მთავარ სამიზნე ჯგუფად თავშესაფრის ბენეფიციარები და თავშესაფრის ადმინისტრაცია განისაზღვრა. შესაბამისად, მომსახურების ხარისხის შეფასება და თავშესაფარში არსებული მდგომარეობის შეფასება დაკვირვების, ფიზიკური გარემოს შეფასებისა და ბენეფიციარების გამოკითხვის შედეგებს დაეყრდნო. მონიტორინგის დროს ასევე შემოწმდა თავშესაფარში მშობელთან ერთად მოთავსებული ბავშვების მდგომარეობა და შეფასდა მათი საჭიროებები.

---

[3] ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები, სახალხო დამცველის აპარატი, 2014

[4] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

[5] ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №183/ნ ბრძანება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/78928

[6] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2246470

თავშესაფრის ბენეფიციართა გამოსაკითხად გამოყენებულ იქნა ნახევრად დახურული ტიპის კითხვარები, რამაც კითხვებზე პასუხის გაცემა გაამარტივა. დახურულმა კითხვებმა, სახალხო დამცველის აპარატს მოკლე დროში მოცულობითი ინფორმაციის მოგროვების შესაძლებლობა მისცა და ძალადობის მსხვერპლთათვის დამატებითი ტრავმების რისკი შეამცირა. თუმცა, ამასთან, გარკვეულწილად შეზღუდა მათ მიერ გაცემული პასუხების შინაარსი. თითოეული კითხვის ან თეზისის ქვეშ მოცემული იყო სავარაუდო პასუხების ჩამონათვალი, რომელიც შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხების შეგროვებას უწყობდა ხელს.

კითხვარი A განკუთვნილი იყო თავშესაფარში ახლად შესული პირებისთვის (პირველი ორი კვირა) და მათი მოლოდინების, პირველადი შთაბეჭდილებებისა და პრობლემების შესახებ იძლეოდა ინფორმაციას. შესაბამისად, გამოიკითხნენ ის ადამიანები, რომელთა თავშესაფარში მოთავსების დრო არ აღემატებოდა ერთ თვეს. ასეთმა გამოკითხვამ ნათელი გახადა, თუ რა მოლოდინები და პირველადი შეფასება აქვთ თავშესაფარში მოთავსების დროისთვის პირებს და რა ტიპის სერვისი სურთ რომ მიიღონ.

კითხვარი B ითვალისწინებდა იმ ბენეფიციარების გამოკითხვას, რომლებიც დიდი ხანია სარგებლობენ სერვისით და მოიცავდა შედეგებისა და სიძნელეების აღწერას, რომელიც თავშესაფარში ცხოვრების დროს შეხვდათ ბენეფიციარებს, როგორიც შეიძლება იყოს მაგალითად კონფლიქტები სხვა წევრებთან ან შეუთავსებლობა თავშესაფრის წესებთან. ამ კითხვარით შეფასდა მათი გამოცდილება, თუ რამდენად გამართლდა მოლოდინები და რა დამატებითი საჭიროებები იჩენენ თავს, მას შემდეგ, რაც პირველადი დახმარება უზრუნველყოფილია.

მონიტორინგი ჩატარდა ხუთ სახელმწიფო თავშესაფარში: ქუთაისში, გორში, სიღნაღში, თბილისსა და ბათუმში. აღნიშნული თავშესაფრებიდან ქუთაისის, გორის და სიღნაღის თავშესაფრები მომსახურებას უწევს უშუალოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს; ხოლო თბილისისა და ბათუმის თავშესაფრები განკუთვნილია ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. მონაცემების სრულყოფილად მოპოვების მიზნით და არსებული ტენდენციების შესაფასებლად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან, რომლის დაქვემდებარებულ სტრუქტურას წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, გამოთხოვილ იქნა ბოლო ორი წლის მიღება–გადინების სტატისტიკა. მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკითხა თავშესაფრებში განთავსებულ ბენეფიციართა სრული რაოდენობა (იმ დროისათვის თავშესაფრით მოსარგებლე 20 სრულწლოვანი პირი), შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ კვლევის შედეგების წარმომადგენლობითობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევისათვის შეგროვილი ინფორმაცია რესპონდენტების პირად გამოცდილებას ეყრდნობა და შესაძლებელია ეს იყოს პირადი ინტერპრეტაციის შედეგი. ამასთან, ყველა რესპონდენტმა არ ისურვა ინფორმაციის სრულყოფილად მოწოდება.

თავშესაფრის სერვისის მოკლე აღწერა და ძირითადი მიზნები

თავშესაფარი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შექმნილ მომსახურების დაწესებულებას. მისი მიზანია თავშესაფარში მცხოვრებ ბენეფიციარებს შესთავაზოს ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი გარემო. აგრეთვე, დაიცვას მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები; უზრუნველყოს ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვა, ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაცია და ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მომსახურებები, მათ შორის თავშესაფრები, სამართლებრივი დახმარება და რეაბილიტაციის პროგრამები; აგრეთვე, მნიშნელოვანია დამცავი ღონისძიებების არსებობა, მათ შორის თავშესაფრების, სამართლებრივი დახმარების, რეაბილიტაციისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა თუ ამგვარი ძალადობის საფრთხის წინაშე მყოფი პირების დახმარებისთვის განკუთვნილი მომსახურებების ხელმისაწვდომობა.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის მიხედვით, მხარეები იღებენ აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს საკმარისი რაოდენობის შესაფერისი და ადვილად ხელმისაწვდომი თავშესაფრების გასამართად დაზარალებულთათვის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისათვის, უსაფრთხო საცხოვრებლებისა და მათთან პროაქტიური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად (მუხლი 23, თავშესაფრები).

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თავშესაფრის სერვისი სრულიად უნდა იყოს ხელმისაწვდომი გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის და აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული მათი სპეციალური საჭიროებები.[7] აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა თავშესაფარი არ არის გენდერულად სეგრეგირებული.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფარი ბენეფიციარებს უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით: სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში), ფსიქოლოგიურ/სოციალური რეაბილიტაციით, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით და მიღებით, სამართლებრივი დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის და სხვა

[7]მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/652-survivor-centred-approach.html

მომსახურებით,[8] რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს თავშესაფრის სერვისების შესახებ.[9] მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში სერვისებით სარგებლობისას გამოვლინდა ხარვეზები, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს თავშესაფრის სტანდარტებთან შესაბამის ფუნქციონირებას.

თავშესაფარში ოჯახში ძალადობის სრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მსხვერპლის/დაზარალებულის თანხმობით, ხოლო არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის, დაზარალებული მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მომართვისას/შუამდგომლობით. თავშესაფრის მომსახურების მიწოდების მიზნით, ფონდსა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს შორის ფორმდება თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) 3 თვემდე ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით, გარდა ოჯახში ძალადობის 14 წლამდე არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გარეშე) შემთხვევისა.

ზოგადი შეფასებით, გამოკითხული ბენეფიციარები თავშესაფრის ადმინისტრაციისა და პერსონალის მუშაობას დადებითად აფასებდნენ და თავს მშვიდად გრძნობენ. ბენეფიციარები არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას არსებული ინფრასტრუქტურული გარემოს ან კვების მიმართ. გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ თავშესაფარში თავს გრძნობენ დაცულად, ადმინისტრაციის მხრიდან გრძნობენ მხარდაჭერას და ზრუნვას, ძალიან ეხმარებათ ფსიქოლოგის კონსულტაციები და მოსწონთ მშვიდ გარემოში ცხოვრება.

თავშესაფრით მოსარგებლე პირთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად, უკავშირდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ შესაბამისი სერვისით სარგებლობას თავშესაფრის გარეთ. გამოკითხულთა ნაწილმა არაერთხელ აღნიშნა პოლიციის მხრიდან არაადეკვატური რეაგირების შესახებ, როდესაც მსხვერპლებს თავშესაფარში მოხვედრამდე გამუდმებით უწევთ პატრულის გამოძახება შესაბამისი რეაგირების მოლოდინში. მათი თქმით, პრობლემას წარმოადგენს შემაკავებელი ორდერის გამოწერის პროცედურებიც, როდესაც პოლიცია თავს იკავებს გამოიყენოს არსებული

---

8 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

9 თავშესაფრის სტანდარტები და რეგულაციები. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/1391-standards-and-regulations.html?next=1392

მექანიზმი. შედეგად, მსხვერპლს უჩნდება უნდობლობის და დაუცველობის განცდა და განმეორებითი ძალადობის ფაქტის დროს უკვე თავს იკავებს შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვისგან.

ბენეფიციართა გამოკითხვისას, ასევე, პრობლემად გამოიკვეთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები საზოგადოების მხრიდან, მაგალითად, მსხვერპლის დადანაშაულება და ოჯახში ძალადობის „ოჯახის საქმედ“ მიჩნევა. აღნიშნული ართულებს ძალადობრივი ფაქტების პრევენციას და ხელს უწყობს მის გაღვივებას. ამას აგრეთვე ემატება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ზოგადად ქალთა უფლებების შესახებ მოსახლეობაში დაბალი ცნობიერების არსებობა, რის შედეგადაც, ხშირად, მსხვერპლი მომხდარში თავის თავს ადანაშაულებს და გვიან ან საერთოდ არ მიმართავს შესაბამის უწყებებს დახმარებისათვის.

ძალადობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორი, რაც აიძულებს მსხვერპლს მოითმინოს ძალადობა. ხშირ შემთხვევაში, ქალებს არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავალი, დამოკიდებულნი არიან ქმარზე ან მის ოჯახის წევრებზე და არა აქვთ საკუთარი ოჯახის მხარდაჭერა. გარდა ამისა, თავშესაფარში განთავსების მიუხედავად, მათთვის რთულია მოკლე დროში მოიძიონ სამსახური და უსაფრთხო საცხოვრებელი. შესაბამისად, თავშესაფრებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ მათ დასაქმებასა და გაძლიერებაზე. ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრების ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა და მათზე დამოკიდებულმა პირებმა სრულყოფილი და ქმედითი დახმარება მიიღონ.

აუცილებელია მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის ისეთი სერვისების შეთავაზება, რომელიც მოახდენს მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას. გარდა სოციალური აქტიურობის ხელშეწყობისა, რომელშიც იგულისხმება მსხვერპლისთვის დასაქმების შესაძლებლობების მოძიება, თავშესაფრებმა უნდა იზრუნონ მსხვერპლთა გაძლიერებაზე განათლების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას პრეტენზია არ გამოუთქვამს, თვალშისაცემი იყო თავშესაფრებში სარეაბილიტაციო ღონისძიებების ნაკლებობა, ზოგ შემთხვევაში კი - არარსებობა.

თავშესაფრებში ბენეფიციართა მიღება–გადინება

თავშესაფარში მიიღება ყველა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული, რომელსაც აქვს ასეთი საჭიროება. თავშესაფრების შინაგანაწესის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, იძულება ან უგულებელყოფა და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ (იგულისხმება დამცავი ან შემაკავებელი

ორდერი), ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა, რომელიც ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფია და იკრიბება პერიოდულად, რათა განიხილოს ძალადობის მსხვერპლთათვის სტატუსის მინიჭების საკითხი.[10]

შინაგანაწესის მიხედვით, თავშესაფარში მიიღებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები/დაზარალებულები (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, მოქალაქეობისა, წარმოშობისა, დაბადების ადგილისა, საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, რელიგიისა ან რწმენისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნისა.[11]

თავშესაფარში არ მიიღებიან გადამდები და ინფექციური დაავადებების მქონე პირები და ნარკომომხმარებლები, რაც, ცალსახად, პრობლემაა. სავარაუდოდ, თავშესაფარში არ მიიღებიან ის ბენეფიციარები, რომლებიც ღიად აცხადებენ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის ან დამოკიდებულების არსებობის შესახებ. როგორც მონიტორინგის შედეგებიდან გამოვლინდა, თავშესაფართა უმრავლესობაში ბენეფიციარებს არ უტარდებათ ჯანმრთელობის გამოკვლევა ინფექციური ან გადამდები დაავადებების გამოვლენის მიზნით მათი მიღებისთანავე. ამგვარი პრაქტიკა შესაძლოა ხელს უწყობდეს დაავადების/ინფექციის არსებობის შესახებ თავშესაფარში მიღებისას, ინფორმაციის დამალვას ან არცოდნას ბენეფიციართა მხრიდან, რაც, საბოლოო ჯამში დააზიანებს როგორც თავად ბენეფიციარს, ისე სხვა ბენეფიციარებს და პერსონალს. შესაბამისად, ამ კუთხით პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად შესაცვლელია.

ასევე გამოვლინდა გარკვეული ტიპის დაბრკოლებები შშმ პირთა თავშესაფარში მიღებისა და მათთვის სერვისების შეთავაზების კუთხით, რადგან თავშესაფრები ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანზე გათვლილი არ არის.

---

[10] ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილება. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2637810

[11] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

მონიტორინგის განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ყველაზე ხშირად მომსახურებით 25-44 წლამდე ქალები სარგებლობენ. ადმინისტრაციის ცნობით, თავშესაფრებში ერთდროულად შესაძლოა განთავსდეს: გორში 20, ქუთაისში 20, თბილისში 20 , სიღნაღში 12 , ხოლო ბათუმში - 10 პირი.

2015–2016 წლებისათვის ბენეფიციართა მიღება–გადინების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

2015-2016 მიღება-გადინება	ჩაირიცხა 2015	ამოირიცხა 2015	ჩაირიცხა 2016	ამოირიცხა 2016
სრულწლოვანი (მსხვერპლი)	47	45	56	56
არასრულწლოვანი (მსხვერპლი)	3	3	6	3
დამოკიდებული პირი	80	89	81	89
სულ	**130**	**137**	**143**	**148**

საინტერესო იყო თავშესაფარში მიღების საფუძველის შესახებ ინფორმაცია, თუ საიდან გახდა ცნობილი თავშესაფრით მოსარგებლეთათვის აღნიშნული სერვისის არსებობის შესახებ, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მომავალში სახელმწიფომ სწორად გაავრცელოს ინფორმაცია არსებული მომსახურებების შესახებ. როგორც მონიტორინგისას გამოვლინდა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები თავშესაფრის შესახებ ინფორმაციას ძირითად შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებიდან იღებენ.

ფონდიდან ასევე გამოვითხოვეთ ინფორმაცია თავშესაფრის დატოვების საფუძვლისა და იმ გარემოებების შესახებ თუ სად მოხდა თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციართა გადასვლა. აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ბენეფიციარები გადადიან ცალკე საცხოვრებლად. მხოლოდ 3 შემთხვევაშია უცნობი მათი თავშესაფრის დატოვების მიზეზი. მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

თავშესაფრის დატოვების მიზეზი	**2015 წელი**	**2016 წელი**
ინტეგრირდა ბიოლოგიურ ოჯახში (მშობლებთან)	10 (მათ შორის 1 არასრულწლოვანი მსხვერპლი)	16 (მათ შორის 3 არასრულწლოვანი მსხვერპლი)
ინტეგრირდა საკუთარ ოჯახში (მეუღლესთან)	11	10
გადავიდა ცალკე საცხოვრებლად	20	20

გადავიდა სხვა ინსტიტუციაში	4 (მათ შორის 2 არასრულწლოვანი მსხვერპლი)	5
უცნობია	1	2
შიდა რეფერირება	2	6

როგორც მონიტორინგისას აღმოჩნდა, არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც პირს ადგილის არქონის გამო უარი ეთქვა მომსახურების გაწევაზე. თავშესაფრებში, ასევე ვერ გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარს სხვა მიზეზით ეთქვა უარი თავშესაფარში მიღებაზე.

პერსონალური ინფორმაციის დაცვა და დოკუმენტირების პროცედურები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის მიხედვით, თავშესაფარში დაცული უნდა იყოს ბენეფიციარის პერსონალური მონაცემების/პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რაზეც თავშესაფრის თანამშრომლები არიან ვალდებულნი.

პირადი/პერსონალური ინფორმაცია მოიცავს: ბენეფიციარის კორესპონდენციას, სატელეფონო საუბრებს, ელექტრონულ ფოსტას, პირად შეხვედრებს, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ–სოციალური, სამართლებრივი მომსახურების მიწოდების დროს მიღებულ ინფორმაციას და სხვა; ასევე, ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ და არ გაამჟღავნონ თავშესაფრის მისამართი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[12]

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით,[13] თავშესაფრით მოსარგებლე პირებს უფლება აქვთ არ გაამჟღავნონ პერსონალური მონაცემი და შეინარჩუნონ კონფიდენციალურობა. ძალიან მნიშნელოვანია ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში თავშესაფრის ადმინისტრაციას ჰქონდეს ბენეფიციარისგან ინფორმირებული თანხმობა,[14] რათა სხვადასხვა სერვისით სარგებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი მონაცემების გამოყენება. ინფორმირებული თანხმობა სასურველია იყოს წერილობითი ფორმით. ინფორმაციის გაზიარებამდე თავშესაფრით მოსარგებლე ბენეფიციარებმა უნდა იცოდნენ:

---

[12] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

[13] პირადი ინფორმაციის დაცვა, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2017)

[14] ინფორმირებული თანხმობის მოთხოვნის აუცილებლობის შესახებ, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2017)

- რატომ არის მნიშვნელოვანი მათი პერსონალური ინფორმაციის გამოყენება
- რა ფორმით და რისთვის იქნება გამოყენებული მათ მიერ გაცემული ინფორმაცია
- ვის ექნება ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ინფორმაციაზე

მონიტორინგისას, თავშესაფრის პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა პერსონალური ინფორმაცია არ მიაწოდონ თავშესაფრის ადმინისტრაციას და ეს დამოკიდებულია მათ სურვილზე. თუმცა, თავშესაფარში მისვლის დღიდან ბენეფიციარებს სრულად განემარტებათ აღნიშნული ინფორმაციის გამოყენების სარგებელი და ის სიკეთეები, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სერვისით სარგებლობის საჭიროებას. თავშესაფრების ადმინისტრაცია ცდილობს აუხსნას ბენეფიციარს, რომ სრულყოფილი მომსახურების მისაღებად, უმჯობესია ინფორმაციის გამჟღავნება. აქედან გამომდინარე, არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარმა თავი შეიკავა პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისგან.

თავშესაფარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიღება და დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით, თავშესაფრის შინაგანაწესიდან გამომდინარე, სავალდებულოა შემდეგი პროცედურების დაცვა: გასაუბრება, თავშესაფარში განთავსება, თავშესაფარში ცხოვრების პირობების, თავშესაფრის მომსახურებების, შინაგანაწესისა და თავშესაფარში მოქმედი სხვა რეგულაციების გაცნობა, ხელშეკრულების დადება ბენეფიციარის თავშესაფარში მიღებიდან 72 საათის განმავლობაში.

თავშესაფრები ბენეფიციარების პირად საქმეებს აწარმოებენ ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური ფორმების მიხედვით.[15] თითოეული ბენეფიციარს პირად საქმეში შესულია მისი სტატუსის/დაზარალებულად ცნობის შესახებ დოკუმენტი, პირადობის მოწმობის ასლი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პირადი საქმე ინახება თავშესაფრის ადმინისტრაციის სამუშაო ოთახში და არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის ან სხვა ბენეფიციართათვის.

თავშესაფრის ბენეფიციართა დამოკიდებულება და შეფასებები

მონიტორინგის შედეგად გამოკითხული ბენეფიციარები ხუთივე თავშესაფარში თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. მათი უმრავლესობა თავშესაფრის ადმინისტრაციისა

[15] ხელშეკრულების ფორმა (ფორმა 1–ო), შეთანხმება ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე (ფორმა 2–ო), თავშესაფარში მიღების ფორმა (ფორმა 3–ო), ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა (ფორმა 4–ო), დამოკიდებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა (ფორმა 5–ო), შემთხვევის მართვის გეგმა (ფორმა 6–ო), შემთხვევის მართვის გეგმის გადასინჯვა/შეფასება (ფორმა 7–ო), თავშესაფრის დატოვების ფორმა (ფორმა 8–ო), ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ თავშესაფრის დატოვების შემდგომ ერთწლიანი მონიტორინგის ფორმა (ფორმა 9–ო).

და პერსონალის მუშაობას დადებითად აფასებს. ბენეფიციარები არ გამოთქვამენ პრეტენზიას არსებული ინფრასტრუქტურული გარემოს ან კვების მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფარში არსებობდეს ისეთი გარემო, სადაც სერვისით მოსარგებლე პირები დაცულნი იქნებიან დისკრიმინაციისგან, ძალადობისა და უგულებელყოფისგან. ძალადობრივი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში თავშესაფრის ადმინისტრაციის მხრიდან დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება და აღმოიფხვრას დისკრიმინაცია ბენეფიციარის მიმართ. ზოგადად, არ იკვეთება არცერთი ფაქტი, რომელიც მიუთითებდა ბენეფიციართა მიმართ რაიმე ტიპის დისკრიმინაციას.

მონიტორინგისას შეფასდა ისეთი ტიპის მომსახურება, რომელიც შესაძლოა ბენეფიციარს სჭირდებოდეს ან შეიძლება უკვე მიიღო თავშესაფარში განთავსებისას. არსებული ინფორმაცია შემოწმდა წინასწარ ჩამოყალიბებული თეზისების საფუძველზე, რომლებიც თავშესაფარში მცხოვრებ ბენეფიციარებს უნდა ამოერჩიათ თავად:

თეზისების ჩამონათვალი	3=მივიღე ყველანაირი დახმარება, რაც მე მინდოდა	2=მივიღე ნაწილი დახმარებისა, რაც მე მინდოდა	1=მინდოდა სწორედ ასეთი ტიპის დახმარება, მაგრამ არ მიმიღია	0=ეს მე არ მეხება, მე არ მინდა ან არ მჭირდება ეს
ჩემი უსაფრთხოებისთვის	19			
ჩემი შვილ(ებ)ის უსაფრთხოებისთვის	14			3
რათა უკეთ გავიგო ჩემი შესაძლებლობებისა და არჩევანის შესახებ	17	1		
რათა გავიგო მეტი ოჯახში ძალადობის შესახებ	9	8	2	
რომ ჩემმა შვილებმა განათლება მიიღონ	11		1	4
უკეთ გავიცნო ბავშვთა დაცვის სისტემა	9	5	1	2
რათა დავძლიო სტრესი	13	6		
რომ მოვძებნო ჩემთვის სასურველი საცხოვრებელი ადგილი	6	3	1	7
შევძლო ბავშვებზე ზრუნვა	12	2		3
მხარდაჭერა სხვა ქალების მხრიდან	15	1		1

რათა ვიპოვო სამსახური	8	3	2	4
ფსიქოლოგიური დახმარება ჩემთვის	13	4		
მოვაგვარო ჩემი ჯანმრთელობის პრობლემები	13	4	2	
მოვიშუშო ძალადობის იარები	16	3		

ანალიზის შედეგად, ნათლად ჩანს, რომ ბენეფიციართა აღქმა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოწესრიგებულია. მათ იციან თავიანთ შესაძლებლობებისა და არჩევანის შესახებ; ძალიან ეხმარებათ ფსიქოლოგი სტრესის დაძლევაში და ძალადობის ტრავმებთან გამკლავებაში, თუმცა, აქვთ პრობლემა საცხოვრებელის და სამსახურის პოვნასთან დაკავშირებით.

ერთიანი რეგულაციების მიუხედავად, თავშესაფრებში სხვადასხვა ფიზიკური გარემო და პერსონალია. თავშესაფარში განთავსებული პირებისა და მათი დამოკიდებულების შესახებ მონიტორინგის შედეგად შემდეგი ინფორმაცია მივიღეთ:

გორის თავშესაფარში ვიზიტისას სულ იმყოფებოდა 5 სრულწლოვანი და 9 არასრულწლოვანი ბენეფიციარი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ თავშესაფარში მოსვლისას იგრძნეს თანადგომა და დახვდათ მშვიდი გარემო. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ურჩევდა მეგობარს ან ახლობელს თავშესაფრით სარგებლობას; თუმცა, თავშესაფრის ადგილსამყოფელი არ არის გასაიდუმლოებული და ქალაქში თითქმის ყველამ იცის ამის შესახებ, რაც, მათი აზრით, დიდ გამოწვევას წარმოადგენს. გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცოდა საჩივრების ყუთის არსებობის შესახებ.

სიღნაღის თავშესაფარში ვიზიტისას მხოლოდ 1 სრულწლოვანი ბენეფიციარი იმყოფებოდა, რომლის გამოკითხვა ვერ მოხერხდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მეშვეობით. თუმცა, ბენეფიციარმა ზეპირი გასაუბრების საფუძველზე აღნიშნა, რომ თავშესაფარში მისთვის არის ძალიან თბილი და კეთილსაიმედო გარემო. ადმინისტრაციის მისამართით გამოთქვა მადლიერება და ისინი დაახასიათა, როგორც ძალიან ყურადღებიანები. ბენეფიციართა სიმცირის გამო რთულია შევაფასოთ თავშესაფრით მოსარგებლე პირთა საჭიროებები.

ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში ვიზიტისას მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 2 სრულწლოვანი და 4 არასრულწლოვანი ბენეფიციარი იმყოფებოდა. გამოკითხულმა ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ თავშესაფარში ყოფნისას თავი იგრძნეს უსაფრთხოდ, დაცულად და მშვიდ გარემოში, რაც დაეხმარათ წარსულში მიღებული იარების მოშუშებაში.

ქუთაისში მონიტორინგის შედეგად გამოიკითხა თავშესაფარში მყოფი 5 სრულწლოვანი პირი. თავშესაფარში განთავსებულ პირთა უმრავლესობა დადებითად აფასებს ადმინისტრაციის მხრიდან მოპყრობას და თავს მშვიდად გრძნობს. გამოკითხული ბენეფიციარებიდან მხოლოდ ერთი გამოთქვამდა პრეტენზიას არსებული ინფრასტრუქტურული გარემოსა და კვების მიმართ.

თბილისის თავშესაფარში ვიზიტისას 5 სრულწლოვანი და 4 არასრულწლოვანი ბენეფიციარი ცხოვრობდა. სრულწლოვანი ბენეფიციარიდან ადგილზე მხოლოდ 2 პირი იმყოფებოდა, რომელთანაც მოხდა გასაუბრება. თავშესაფარში მყოფ არასრულწლოვან არაქართულენოვანი ქალთან ენობრივი ბარიერის გამო კომუნიკაცია ფაქტიურად ვერ მოხერხდა. ასევე, გავესაუბრეთ 1 არასრულწლოვან გოგონას (13 წლის), რომელიც თავშესაფარში სრულწლოვან დასთან ერთად იყო განთავსებული.

თავშესაფრების გაერთიანებით[16] გამოწვეული შესაძლო ხარვეზების გამო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ხელმეორედ განახორციელა ვიზიტი თბილისის თავშესაფარში, რათა შემოწმებულიყო ის საკითხები, რომლებიც საჭიროებდა გამოსწორებას და რომელთა მიზეზად რეორგანიზაცია იყო დასახელებული. დამატებითი ვიზიტისას გამოიკითხა 3 პირი.

საერთო ჯამში, შეგვიძლია ვისაუბროთ თავშესაფრებში შექმნილი კეთილსაიმედო გარემოს შესახებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია ბენეფიციარებისთვის. აღნიშნული სერვისით სარგებლობა გამოკითხული პირების უმრავლესობისთვის იყო საჭირო და დროული. ბენეფიციართა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ თავშესაფარში გატარებული დროის შედეგად მათი შვილები თავს უკეთ გრძნობენ. მათ მოსწონთ ადმინისტრაციის მხრიდან გამოჩენილი მხარდაჭერა, მზრუნველობა და პატივისცემა.

თავშესაფარში ყოფნის დროს მიღებული გამოცდილება 18 ბენეფიციარმა შეაფასა, როგორც სასარგებლო. იგივე რაოდენობამ აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ურჩევდა მეგობარს თავშესაფარში მისვლას. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევას, დაცულობის შეგრძნებას, მშვიდ გარემოს და მხარდაჭერას, როგორც თავშესაფრის პერსონალის, ისე თავშესაფარში მყოფი სხვა ბენეფიციარი ქალების მხრიდან.

თბილისის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში მონიტორინგისას გამოვლინდა გარკვეული პრობლემა არაქართულენოვანი ბენეფიციარისთვის შესაბამისი და ეფექტური სერვისის მიწოდების მიმართულებით. ბენეფიციართან გასაუბრება მოხდა ინგლისურ ენაზე და გაირკვა, რომ ის ვერ სარგებლობდა

[16] წლის სექტემბრის თვიდან ტრეფიკინგის მსხვერპლთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები გაერთიანდა და ადმინისტრაციული პერსონალი ორივე კატეგორიის მსხვერპლებისთვის საერთო გახდა.

ფსიქოლოგის სერვისით, პრობლემას წარმოადგენდა მისი სამედიცინო საჭიროებებით უზრუნველყოფა და ასევე მას არ ჰქონდა წიგნები მშობლიურ ენაზე. შესაბამისად, აღნიშნულ პირს თავშესაფარი სთავაზობს მხოლოდ ფიზიკური გარემოთი სარგებლობის შესაძლებლობას და დანარჩენი სერვისი, როგორიცაა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მის განვითარებაზე ზრუნვა, ხელმისაწვდომი არ არის. ადმინისტრაციასა და ბენეფიციარს შორის კომუნიკაცია ძირითადად ინგლისურ ენაზე ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი ამ ენას არ ფლობდა და მხოლოდ გაუგებრობის, ან გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებიან თარჯიმანს.

თავშესაფარში განთავსებული დამოკიდებული პირების ზოგადი მდგომარეობის შეფასება

თავშესაფარში შვილებთან/დამოკიდებულ პირებთან ერთად მცხოვრები ბენეფიციარების მდგომარეობის შეფასებისას, მნიშვნელოვანი იყო თუ რამდენად დაცულად გრძნობენ ბენეფიციარები და მათზე დამოკიდებული პირები თავს, რამდენად არის მათი ერთობლივი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ დედებისთვის, რომლებმაც თავი დააღწიეს ძალადობრივ გარემოს, კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია შვილების უსაფრთხოება და დაცვა. შესაბამისად, ისეთი თავშესაფრები, რომლებშიც არ არის ბავშვებზე ორიენტირებული გარემო პირობები, მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ქალებისთვის.

თავშესაფარში განთავსებულ დამოკიდებულ პირთა უმრავლესობას აქვს ძალადობრივ გარემოში ცხოვრების გამოცდილება, ამას ემატება გაუცხოება, რომელიც თან ახლავს თავშესაფარში ცხოვრებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2-5 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი, რადგან გადატანილი ძალადობრივი გამოცდილება ხშირად მათ მიერ გამოვლენილ რთულ ქცევაში აისახება. ხშირია განმარტოებისა და ჩაკეტილობის შემთხვევები სკოლის ასაკის ბავშვებში, რადგან მათ უწევთ სკოლის გამოცვლა, ახალ გარემოსთან შეგუება და უამრავ პრობლემასთან გამკლავება. უფრო მეტიც, ისინი ხშირად საკუთარ თავს ადანაშაულებენ მომხდარში და გრძნობენ სინანულს ამის გამო.[17]

სარეაბილიტაციო ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავშესაფარში განთავსებული დამოკიდებული პირებისთვის, რომლებიც ძირითადად, არასრულწლოვნები არიან. თავშესაფრის შინაგანაწესის მიხედვით, ძიძა უზრუნველყოფს ბავშვებისთვის გასართობ–შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელებას და ის ასევე ზრუნავს მათთვის არაფორმალური განათლების მიღებაზე. მონიტორინგის განხორციელებისას ყველა თავშესაფარში ძიძა ეხმარებოდა ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაში, თუ ამის საჭიროება იდგა.

[17] ქალები და ბავშვები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/1395-women-with-children.html?next=1396

მონიტორინგის განხორციელებისას, გორის თავშესაფარში ფსიქოლოგის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოვლინდა დედის მხრიდან ბავშვზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის ფაქტი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თავშესაფარში ყურადღებას უთმობენ ამგვარ შემთხვევებს. აუცილებელია, დედათა ქცევის კორექცია მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ძიძა) მეშვეობით ხდებოდეს, რომლის დროსაც შემუშავებული იქნება სპეციალური სტრატეგია და გათვალისწინებული იქნება დედის და ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

თავშესაფრებში უკიდურესად მნიშვნელოვანია არსებობდეს ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურა. მონიტორინგის განხორციელებისას აშკარა გახდა, რომ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვებისთვის შესაბამისი გარემოს არარსებობა, სათამაშოების, გასართობი ნივთებისა და აქტივობების ნაკლებობა. ასაკის შესაბამისი გასართობი ღონისძიებების ნაკლებობის გამო ინტერვიუირების დროს, უკმაყოფილებას თავშესაფარში განთავსებული დამოკიდებული პირებიც გამოთქვამდნენ.

თავშესაფრის ადმინისტრაცია

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის თანახმად, თავშესაფრის პერსონალის სავალდებულო შემადგენლობაში შედიან: თავშესაფრის უფროსი, იურისტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მედდა, ძიძა, ბუღალტერი, მძღოლი და დარაჯი.

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით,[18] მნიშვნელოვანია თავშესაფარში დასაქმებული თითოეული პირისთვის არსებობდეს ნათლად გაწერილი სამუშაოს აღწერილობები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. თანამშრომლებისთვის მუდმივად უნდა ტარდებოდეს ტრენინგ/სემინარები, რათა მოხდეს მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება და შესაბამისად, სერვისის დახვეწა. სასურველია, რომ თითოეულ მათგანს გავლილი ჰქონდეს 40 საათიანი ტრენინგი ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ადმინისტრაციას მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია საკანონმდებლო თუ სხვადასხვა პროგრამებზე, რაც აამაღლებს მათ ცნობიერებას და პროფესიონალიზმს.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მხარდამჭერი სერვისების მინიმალური სტანდარტების რეკომენდაციის მიხედვით, მნიშვნელოვანია სერვისის მიმწოდებელი პერსონალი იყოს გამოცდილი, გენდერულად მგრძნობიარე და

[18] ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების რეგულაციები და სტანდარტები, ილინოისი, 2014. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.dhs.state.il.us/page.aspx?item=70181

გადამზადებული ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში. საყურადღებოა რეკომენდაცია იმის შესახებაც, რომ თუ ეს შესაძლებელია, სპეციალურად ქალთა თავშესაფრებში, სასურველია პერსონალი იყოს მდედრობითი სქესის.[19]

ეფექტური სერვისის მიწოდება ბენეფიციარებისთვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მრავალმხრივია თავშესაფარში დასაქმებულთა მოვალეობა-პასუხისმგებლობები.[20] თავშესაფრის პერსონალს აუცილებელია ჰქონდეს შესაბამისი კომუნიკაციის ტექნიკები, პოზიტიურად იყენებდეს სხეულის ენას, შეეძლოს მოსმენა და საჭიროების შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. თავშესაფარში დასაქმებულ პერსონალს უნდა შეეძლოს კონფლიქტური სიტუაციების მართვა და ფასილიტაცია, მოლაპარაკებისა და მედიაციის ტექნიკების გამოყენებით. უკიდურესად მნიშნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა და კულტურული, ეთნიკური თუ ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, თითოეული ბენეფიციარის მიმართ მზრუნველობით და პატივისცემით მოპყრობა.

პერსონალი უნდა იყოს პროფესიონალი, ფლობდეს მსხვერპლთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებს და გამოცდილებას. მსხვერპლთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, თავშესაფრების ხელმძღვანელობამ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა მაქსიმალურად ფართო სერვისი შესთავაზონ თავშესაფრით მოსარგებლე პირებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი მხრიდან დახმარების სტრატეგიებზე მუშაობა.

ზოგადი გამოკითხვის შედეგებიდან ნათელია, რომ თავშესაფრის ადმინისტრაცია დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში ცდილობს თავშესაფარში მოხვედრილ პირთა პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ყველაზე ხშირი შეხება ბენეფიციარებთან აქვთ მედდებს, რადგან ისინი თავშესაფარში 24 საათიანი ცვლის პირობებში მუშაობენ. ყველა თავშესაფარში უსაფრთხოება უზრუნველყოფილია დაცვით (საჭიროების შემთხვევაში ხდება საპატრულო პოლიციის გამოძახება), კონფიდენციალური მისამართით და თავშესაფრიდან გასვლა-მოსვლის აღრიცხვით. გამონაკლისი იყო სიღნაღის თავშესაფარი, სადაც თავშესაფრის ტერიტორიაზე ასევე დამონტაჟებულია კამერები.

გთავაზობთ ინფორმაციას თითოეულ თავშესაფარში დასაქმებულთა რაოდენობისა და პერსონალის პროფესიონალიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ:

---

[19] ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებული სერვისების მინიმალური სტანდარტები. ევროპის საბჭო. 2008. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-CONF%282007%29Study%20rev.en.pdf

[20] თავშესაფრის ადმინისტრაცია და მართვა, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/1384-staffing-and-management.html?next=1385

გორის თავშესაფარში სულ დასაქმებულია 15 თანამშრომელი: 4 დარაჯი, 4 მედდა, მძღოლი, თავშესაფრის უფროსი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ძიძა და ტექნიკური დამხმარე. აღსანიშნავია, რომ თავშესაფარს არა ჰყავს იურისტი. ოჯახში ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით ყველა თანამშრომელს აქვს გავლილი გადამზადება, ბუღალტრის გარდა. ტრენინგები ტარდება ყოველწლიურად,[21] როგორც ფონდის, ისე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

სიღნაღის თავშესაფარში სულ დასაქმებულია 14 თანამშრომელი: 4 დარაჯი, 4 მედდა, მძღოლი, თავშესაფრის უფროსი, ბუღალტერი, სოციალური მუშაკი, ძიძა, ტექნიკური დამხმარე. უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფარი ბენეფიციარებს ვერ სთავაზობს ფსიქოლოგიური დახმარების სერვისს, ვინაიდან გახსნის დღიდან არ ჰყავს ფსიქოლოგი. როგორც ხელმძღვანელმა განმარტა, რამდენჯერმე გამოცხადდა კონკურსი, თუმცა ვერ მოხერხდა პროფესიონალი ფსიქოლოგის შერჩევა. აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის გადაწყვეტილებით კვირაში ერთი დღე, სიღნაღის თავშესაფარში თბილისის თავშესაფრის ფსიქოლოგი მუშაობს. სიღნაღის თავშესაფრის დირექტორი მიიჩნევს, რომ მედდას ბევრი ფუნქცია აქვს დაკისრებული და თვლის, რომ მნიშვნელოვანია თავშესაფარს ჰყავდეს დამლაგებლის და მზარეულის შტატი ცალკე.

ოჯახში ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით, სიღნაღის თავშესაფარში მომუშავე ძიძას, მედდას, თავშესაფრის უფროსს, იურისტს და სოციალურ მუშაკს აქვთ გავლილი გადამზადება. გადამზადება არ აქვს გავლილი ბუღალტერს, მძღოლსა და დარაჯს. ადმინისტრაციის განმარტებით, უკვე 3-ჯერ ჩატარდა ტრენინგი ფონდის და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ მიერ. თავშესაფრის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ხშირად თავშესაფარში მომუშავე სოციალურ მუშაკებსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს შორის აწყობენ ხოლმე შეხვედრებს გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ბათუმის თავშესაფარში დასაქმებულია 15 თანამშრომელი: 4 დარაჯი, 4 მედდა, თავშესაფრის უფროსი, იურისტი; ბუღალტერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ძიძა, ტექნიკური დამხმარე. თავშესაფარს არ ჰყავს მძღოლი. საჭიროების შემთხვევაში თავად თავშესაფრის უფროსი უზრუნველყოფს ბენეფიციართა ტრანსპორტირებას.

ოჯახში ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით, ყველა თანამშრომელს აქვს გავლილი გადამზადება. წელიწადში 2–ჯერ მაინც ტარდება ტრენინგები ფონდის მიერ. ტრენინგებს ასევე ატარებენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ბათუმის თავშესაფრის ადმინისტრაციამ

[21] 2016 წელს თავშესაფრის თანამშრომლებისათვის ჩატარდა 5 ტრენინგი

განაცხადა, რომ ისინი მუდმივად ინარჩუნებენ კავშირს იმ ბენეფიციარებთან, რომლებმაც თავშესაფარი დატოვეს და ეს შეიძლება წარმატებულ პრაქტიკად ჩაითვალოს.

ქუთაისის თავშესაფარში დასაქმებულია 15 ადამიანი, აქედან: თავშესაფრის დირექტორი, 4 მედდა, 4 დაცვა, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ბუღალტერი, ძიძა, იურისტი და მძღოლი. თავშესაფარში აცხადებენ, რომ არაქართულენოვანი ბენეფიციარი ამ დრომდე არ ჰყოლიათ და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ დაიქირავონ თარჯიმანი.

ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ვიზიტისას ადმინისტრაციასთან[22] გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით ყველა თანამშრომელს აქვს გავლილი გადამზადება და წელიწადში 2–ჯერ მაინც ტარდება ტრენინგები ფონდის მიერ. თავშესაფრის უსაფრთხოებას იცავს დარაჯი.

თბილისის თავშესაფარში დასაქმებულია 16 ადამიანი: თავშესაფრის უფროსი, სამეურნეო საქმეთა კოორდინატორი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, 4 მედდა, ძიძა, ბუღალტერი, დამლაგებელი, მძღოლი და 4 დარაჯი. ვიზიტისას გასაუბრება მოხდა თავშესაფრის დირექტორთან, ძიძასთან (რომელიც აგრეთვე ითავსებს სოციალური მუშაკის ფუნქციას), მედდასთან, ბუღალტერთან და დამლაგებელთან. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ თბილისის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარს აქვს დამლაგებლის შტატი.

როგორც თავშესაფრის დირექტორთან გასაუბრებისას გაირკვა, 2016 წლის 20 აგვისტოდან თავშესაფრის ფსიქოლოგი იმყოფებოდა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში და აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული თავშესაფარს არ ჰყავდა ფსიქოლოგი. მონიტორინგისას[23] აღნიშნული სერვისი არ მიეწოდებოდათ ბენეფიციარებს, თუმცა, თავშესაფრის დირექტორის ინფორმაციით, ფსიქოლოგის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე უახლოეს მომავალში იგეგმებოდა კადრის აყვანა.[24]

თავშესაფარში ვიზიტისას ასევე აღმოჩნდა, რომ დაახლოებით 3 თვეა, რაც სოციალურ მუშაკი იმყოფება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში, ხოლო მის მოვალეობას, ძიძა ასრულებდა. თავშესაფრის ხელმძღვანელის მოსაზრებით, ძიძას აქვს საკმარისი განათლება და გამოცდილება, რათა შეითავსოს სოციალური მუშაკის ფუნქციები. რაც შეეხება ძიძას, როგორც თავშესაფრის ადმინისტრაციასთან და ბენეფიციარებთან

---

[22] მონიტორინგის დღეს ქუთაისის თავშესაფრის უფროსი იყო ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში, ხოლო მისი მოვალეობის შემსრულებელი იმყოფებოდა თბილისში სამსახურებრივ თათბირზე.

[23] მონიტორინგი განხორციელდა 13 სექტემბერს, ხოლო განმეორებითი მონიტორინგი - 30 სექტემბერს.

[24] თბილისის თავშესაფარში განმეორებითი ვიზიტისას აღდგენილი იყო ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განმეორებითი მონიტორინგისას, ფსიქოლოგი არ იმყოფებოდა ადგილზე, თუმცა მსხვერპლებმა დაადასტურეს მასთან შეხვედრისა და გასაუბრების ფაქტები.

გასაუბრებამ აჩვენა, აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს თავშესაფრის ის პერსონალი, რომელსაც იმ დროისთვის სცალია. დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თავშესაფარში პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები არის ძალიან მოქნილი, რაც, თავისთავად, მისასალმებელია, მაგრამ მაინც აჩენს არაკვალიფიციური ან ნაკლებ კვალიფიციური სერვისის გაცემის საშიშროებას. აუცილებელია, თავშესაფრის პერსონალის მიერ ერთმანეთის ჩანაცვლებისას მოხდეს მათი უნარების და გამოცდილების შეფასება და გათვალისწინება.

აღსანიშნავია, რომ თავშესაფარს არა აქვს ცალკე იურისტის შტატი. თავშესაფრის ბენეფიციარებს, საჭიროების შესაბამისად, იურიდიულ დახმარებას უწევს როგორც ცხელი ხაზის იურისტი (აღნიშნული პირი თავშესაფარში ვიზიტისას იმყოფებოდა კრიზისულ ცენტრში, რადგან შეთავსებით იქაც მუშაობს), ასევე, ფონდის ცენტრალური ოფისის სამართლებრივი დეპარტამენტის იურისტები.

რაც შეეხება ჰიგიენური ნორმების და სისუფთავის დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ თბილისის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის თავშესაფარში არსებობს დამლაგებლის შტატი, მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკვეთა მნიშნელოვანი დარღვევები ამ მიმართულებით. აღნიშნული შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო რეორგანიზაციით. ზოგადად, თავშესაფრების პერსონალთან და ბენეფიციარებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწესებულების სისუფთავეზე პასუხისმგებლობა თავშესაფარში თავად ბენეფიციარებს აკისრიათ და ხშირ შემთხვევაში ეს იწვევს კონფლიქტს მათ შორის.

თავშესაფრების განაწესის და ერთიანი სტანდარტის მიხედვით, მედდას ევალება თვალყური ადევნოს თავშესაფარში არსებულ სანიტარულ მდგომარეობას, უზრუნველყოს სამზარეულო ინვენტარის დეზინფექცია და სისუფთავე როგორც თავშესაფრის შენობაში, ასევე თავშესაფრის ეზოში. გამომდინარე იქედან, რომ მედდას ევალება ასევე სადილის მომზადება და ბენეფიციართა ჯანდაცვის საკითხების კონტროლი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რეგიონში არსებულ თავშესაფრებში მოხდეს დამლაგებლის შტატის დამატება, მსგავსად თბილისისა, რათა აღნიშნული პრობლემა მოგვარდეს და თავშესაფარში არსებული ჰიგიენური პირობები იყოს მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი.

გარდა ამისა, სიღნაღის თავშესაფარში მოუგვარებელია ფსიქო-სოციალური სერვისის მიწოდება ბენეფიციართათვის, რადგან მოწვეული ფსიქოლოგი მხოლოდ კვირაში ერთხელ ასრულებს ამ მოვალეობას რაც არასაკმარისია თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარების საჭიროებებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე და ფორმალურ ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს თავშესაფარში ფსიქოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა და მოიძებნოს შესაბამისი კვალიფიციური კადრი.

თავშესაფრის ადმინისტრაციამ ხაზი გაუსვა, რომ ზედმეტი ფორმალობები და ბიუროკრატია ნაკლებად მოქნილს და ქმედითს ხდის თავშესაფრის მომსახურებას. ამასთან, თავშესაფრის პერსონალის გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა საჭიროებებსა და ტექნიკურ

საკითხებზე ისინი ნაკლებად მიმართავენ სახელმწიფო ფონდს, რათა ბიუროკრატიული სირთულეების გამო დროში არ გაიწელოს პრობლემური საკითხების გადაჭრა. მნიშნელოვანია, ფონდსა და თავშესაფრების ადმინისტრაციას შორის არსებობდეს უფრო მჭიდრო კავშირი და კომუნიკაცია.

თავშესაფრის ადმინისტრაციის მხრიდან, იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაუმჯობესდეს დაწესებულებაში, ყველაზე მეტად აქცენტი გაკეთდა სარეაბილიტაციო პროგრამებზე, თავშესაფრების ინფრასტრუქტურასა და ეზოს კეთილმოწყობაზე. აგრეთვე, ისაუბრეს ბავშვებისთვის სათამაშოების, შემეცნებითი ღონისძიებების ნაკლებობასა და ბიბლიოთეკების კეთილმოწყობის საკითხებზე.

საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს ფონდის ძალისხმევა თავშესაფარში დასაქმებული პერსონალის მუდმივ გადამზადებასთან დაკავშირებით, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, მათ ესმოდეთ ოჯახში ძალადობის სპეციფიურობა და ჰქონდეთ გენდერული მგრძნობელობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები, მათ შორის სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწის, უფლება-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრის, ანგარიშვალდებულების მკაფიო სისტემის ჩამოყალიბების გზით, რათა გაიზარდოს თავშესაფრის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა და როლი დაწესებულების ადამიანური და მატერიალური–ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფის პროცესში

- თავშესაფრებში მოხდეს დამლაგებლის შტატის დამატება, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი სისუფთავე და დაცული იქნას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ადმინისტრაციას:

- დროულად მოახდინოს მომსახურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების მიზნით ჰქონდეს ფონდთან რეგულარული და ეფექტური კომუნიკაცია.

თავშესაფარში ქცევის ნორმები და სხვა წესები

თავშესაფარში ცხოვრება რეგულირდება შინაგანაწესით. შინაგანაწესი აწესრიგებს თავშესაფრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) დაცვის, დახმარების, ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის, სამედიცინო მომსახურების ორგანიზების/მიღების და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხებს, განსაზღვრავს თავშესაფრის თანამშრომელთა და ბენეფიციართა უფლება–მოვალეობებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს.

შინაგანაწესის მიხედვით, თავშესაფრის თანამშრომლები ვალდებულნი არიან სამუშაო ადგილზე იქცეოდნენ პროფესიონალურად; დაიცვან ბენეფიციართა უფლებები და ინტერესები, არ შელახონ ბენეფიციართა პატივი და ღირსება; დაიცვან ბენეფიციარის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; არ დაუშვან ბენეფიციარის მიმართ ძალადობისა და ძალადობის მუქარის, დამცინავი/შეურაცხმყოფელი განცხადებების გამოყენება და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლენა; დროულად გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე; პოზიტიური ურთიერთობები ჰქონდეთ ერთმანეთთან; დაიცვან უსაფრთხოების წესები სამუშაო ადგილზე, რათა შეუქმნან უსაფრთხო გარემო ბენეფიციარებს, საკუთარ თავსა და სხვებს; გაუფრთხილდნენ თავშესაფრის ქონებას და შეატყობინონ ადმინისტრაციას მათი დაზიანების შემთხვევების შესახებ; დაიცვან ფონდში/თავშესაფარში მოქმედი სხვა რეგულაციები; დაიცვან თავშესაფრის ადგილმდებარეობის კონფიდენციალურობა.[25]

თავშესაფრების შინაგანაწესის მიხედვით, თავშესაფრის ტერიტორიაზე ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული გადაუდებელი დახმარების სამსახურის „112“-ის, ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკონტაქტო ინფორმაცია.

განხორციელებული მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ ყველა თავშესაფარში გამოკრულია თავშესაფარში არსებული წესების შესახებ ინფორმაცია, ასევე კედელზე განთავსებულია საჩივრების ყუთი და ინფორმაცია სახელმწიფო ფონდისა და მონიტორინგის სამსახურის ცხელი ხაზის შესახებ. აგრეთვე, თავშესაფრებში გამოკრული იყო საქართველოს სახალხო დამცველის საკონტაქტო ინფორმაცია. ვიზიტისას თავშესაფრის ადმინისტრაციას ეთხოვა, რომ საკონტაქტო ინფორმაციაში აგრეთვე დაემატებინა ინფორმაცია სახალხო დამცველის ცხელი ხაზის შესახებ.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ თავშესაფარში მნიშვნელოვანი შინაგანაწესის დარღვევის ფაქტები ხშირი არ არის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდება

[25] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

გადაცდომები. ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უმეტესად ვლინდება ბენეფიციართა მხრიდან ე.წ. „კომენდანტის საათის“[26]დარღვევა.

თავშესაფრის პერსონალისგან გამოკითხვა წესებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მიღებული ინფორმაცია ბენეფიციარებთანაც გადამოწმდა და გაირკვა, რომ უმეტესობისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა „კომენდანტის საათი“, რომლის მეშვეობითაც რეგულირდება თავშესაფრიდან გასვლისა და შემოსვლის დრო; აგრეთვე, უმრავლეს შემთხვევაში, მოწესრიგებული აღმოჩნდა სამსახურში და სკოლაში სიარულის შესაძლებლობა; კონტაქტის შესაძლებლობა ოჯახთან და მეგობრებთან აქვს ბენეფიციართა უმრავლესობას და ეს არ ყოფილა მათთვის პრობლემა; კვებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს. ყველა გამოკითხულმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ არ ყოფილა ფაქტი, როდესაც იგრძნეს პატივისცემის ნაკლებობა პერსონალის მხრიდან. რაც შეეხება ბავშვთა დისციპლინას და მონიტორინგს, მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ მისთვის ეს წამოადგენდა პრობლემას, რომელიც გადაიჭრა.

თავშესაფარში ყოფნის ვადა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ინდივიდუალურად უგრძელდებათ, მათი საჭიროებებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. თავშესაფარში შესაძლებელია რელიგიური რიტუალების განხორციელება და ამ მიმართულებით კონკრეტული დარღვევა არ გამოვლენილა.

უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების შინაგანაწესის მიხედვით, ბენეფიციარებსა და თავშესაფრის თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოხატონ თავიანთი შეხედულება და/ან უკმაყოფილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. მონიტორინგის განხორციელებისას ბენეფიციართა გამოკითხვის დროს გადამოწმდა, თუ რამდენად იყვნენ ისინი ინფორმირებულნი აზრის გამოხატვის, თუ გაპროტესტების პროცედურის შესახებ.

ყველა თავშესაფარში აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია საჩივრების ყუთისა და უკუკავშირის ჟურნალის მეშვეობით, სადაც შესაძლებელია ანონიმურად დაფიქსირდეს პრეტენზია თავშესაფრის პერსონალის მიმართ ან სხვა ნებისმიერი პრობლემატური საკითხის არსებობისას. ამასთან, გარდა ინფორმირებულობისა, მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირის ჟურნალი და საჩივრების ყუთი ყველასთვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას იყოს განთავსებული. შინაგანაწესში გაწერილი პროცედურის თანახმად, საჩივრის ყუთის გახსნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლის მიერ ხდება.

[26] ბენეფიციარების გასვლა-დაბრუნების აღრიცხვა.

სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით გამოითხოვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი საჩივარი შევიდა ფონდის ადმინისტრაციაში ბენეფიციართა მხრიდან და რამდენი დაკმაყოფილდა 2016 წლის მანძილზე. მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ წერილობითი სახით 2016 წელს ბენეფიციარებს ფონდისთვის ან თავშესაფრის ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავთ, მათ ასევე არ უსარგებლიათ საჩივრების ყუთით.

ამასთან, გვეცნობა, რომ ბენეფიციარებს შეუძლიათ რაიმე გაუგებრობისა თუ უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში ტელეფონით დაუკავშირდნენ მონიტორინგის ჯგუფს. ფონდის ინფორმაციით ამ სერვისით მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა ისარგებლა 2016 წლის მანძილზე.

იგივე პრაქტიკას ადასტურებს ბენეფიციარებისგან მიღებული ინფორმაციაც. გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობამ იცოდა თავშესაფარში საჩივრის ყუთისა და უკუკავშირის ჟურნალის არსებობის შესახებ, თუმცა, საგულისხმოა, რომ არც ერთ უკუკავშირის ჟურნალში არც ერთი ჩანაწერი არ იყო დაფიქსირებული. თავშესაფრის ბენეფიციართა განცხადებით, ისინი პრობლემას ძირითადად პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით აგვარებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ დაწესებულებებში არ არის დანერგილი ანონიმური კითხვარების საშუალებით უკუკავშირის პროცედურა. მიგვაჩნია, რომ მსგავსი პრაქტიკა არასათანადოა ბენეფიციართა ანონიმურობის დაცვისათვის და ეფექტური უკუკავშირის დასამყარებლად.

მნიშვნელოვანია ადმინისტრაციამ გასწიოს მეტი ძალისხმევა და ჩამოაყალიბოს უკუკავშირისა და პროტესტის გამოხატვის მარტივი და თანმიმდევრული პრაქტიკა, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ყველა ეროვნების, შესაძლებლობის და უნარის მქონე ადამიანისთვის. შესაბამისად, აუცილებელია, შეიქმნას ბენეფიციარების მიერ სერვისის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ანონიმური უკუკავშირის მიწოდების პირობები.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- უზრუნველყოს ფონდის ფილიალებში უკუკავშირისა და გასაჩივრების მექანიზმის გამართულად ფუნქციონირება და ანონიმური უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ადმინისტრაციას:

- ჩამოაყალიბოს უკუკავშირისა და პროტესტის გამოხატვის მარტივი და თანმიმდევრული პრაქტიკა, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ყველა ეროვნების, შესაძლებლობის და უნარის მქონე ძალადობის მსხვერპლისთვის.

თავშესაფარში მცხოვრები პირების ჯანმრთელობის დაცვა

თავშესაფარში ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება ხდება თავშესაფარში მიღებისას (ბენეფიციართან გასაუბრების საფუძველზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ივსება სპეციალური ფორმა) და ჯანმრთელობის ჩივილების დროს. დანიშნული მედიკამენტების მიწოდება კი ხდება სიმპტომების შესაბამისად ექიმის დანიშნულებისამებრ. თავშესაფარში გათვალისწინებულია ბავშვთა იმუნიზაციის საკითხი და ბავშვები დაჰყავთ შესაბამის გეგმირ აცრებზე. მედიკამენტები განთავსებულია სამედიცინო ოთახში და მედდა უზრუნველყოფს მათ გაცემას დანიშნულებისამებრ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო გეგმური შემოწმება არ ხდება არცერთ თავშესაფარში, რაც წარმოადგენს მიუღებელ პრაქტიკას. აუცილებელია, თავშესაფარში შესვლისთანავე ხდებოდეს მსხვერპლის გეგმური შემომწება რათა გამოირიცხოს გადამდები ინფექციების არსებობა (აივ ინფექცია, B და C ჰეპატიტები და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ თავშესაფარში შესვლისთანავე, მხოლოდ სიღნაღის თავშესაფარი ახორციელებს ბენეფიციართა გამოკვლევას სისხლის ანალიზის საშუალებით, რათა, თავიდან იქნას აცილებული და გამოირიცხოს რაიმე ტიპის გადამდები დაავადების ან/და ინფექციის გავრცელება. დანარჩენ თავშესაფრებში სამედიცინო გამოკვლევა ძირითადად საჭიროებისამებრ, დაავადების ან ჩივილის გამოვლენის შემთხვევაში ხორციელდება.

ყველა თავშესაფარში არის გამოყოფილი სპეციალური ოთახი მედდებისთვის, სადაც ინახება პირველადი დახმარების მედიკამენტები. მედდები აწარმოებენ ხარჯვის ფურცელს, სადაც გაწერილია თითოეული ბენეფიციარის როგორც სიმპტომურად, ასევე დანიშნულებისამებრ მიღებული მედიკამენტების ჩამონათვალი. ხდება მედიკამენტების აღრიცხვა, სადაც მითითებულია მიღების თარიღი, ვადები, ვარგისიანობა და ა.შ. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მედიკამენტებს საჭიროებისამებრ დამატებით ყიდულობენ „ავერსის“ აფთიაქებში. ასევე წამლების ნაწილი ინახება აფთიაქში, რომ შესაბამისად იყოს დაცული.

თავშესაფარში შესაძლებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარების მიღება, თუ ის საფრთხეს არ შეუქმნის სხვა ბენეფიციარებს, თუმცა საფრთხის შექმნაში რა იგულისხმება დიდწილად გაუგებარია და საჭიროებს მეტ დაზუსტებას, ერთგვაროვანი პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

გორის თავშესაფარში ფონდის ინიციატივით, მიმდინარე წელს ხორციელდება ყველა ბენეფიციარის აცრა (გრიპზე). ბენეფიციარებს სამედიცინო მომსახურებას უწევს შემდეგი კლინიკები: გორმედი, ავერსი, იავნანა. **სიღნაღის** თავშესაფარში ბენეფიციარებს სამედიცინო მომსახურებას უწევს არქიმედეს კლინიკა. **ბათუმის** თავშესაფარში ბენეფიციარებს სამედიცინო მომსახურებას უწევს რეფერალური საავადმყოფო და კლინიკა ევექსი. **თბილისის** თავშესაფარში გამოწვევად დასახელდა ისეთი პროცედურული სირთულეები, როგორიცაა - დაზღვევა. თუ საყოველთაო ჯანდაცვა აფინანსებს 70%-ს, მაშინ ფონდი დამატებით 30%-ის აფინანსებს. ვინაიდან, ორივე შემთხვევაში ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თავშესაფრის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ უმჯობესია გამარტივდეს პროცედურები და გაწეული მომსახურება მთლიანად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ აანაზღაუროს. თბილისის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის თავშესაფრებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ერთ ბენეფიციარს აღმოაჩნდა ტუბერკულიოზი ღია გადამდები ფორმით, რაც თავდაპირველად თავშესაფრის ადმინისტრაციისთვის ცნობილი არ იყო (არც ბენეფიციარისთვის). ტუბერკულიოზის დაავადების აღმოჩენის შემდგომ, შემოწმდა ყველა ბენეფიციარი, თუმცა დაავადების გადადების ფაქტი არ გამოვლინდა. **ქუთაისის** თავშესაფარში პრობლემები გამოიკვეთა ჯანდაცვის სერვისის მიწოდების კუთხით და აღმოჩნდა, რომ არ ხდება ბენეფიციართა უზრუნველყოფა სტომატოლოგიური მომსახურებით.

შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ თავშესაფარში განთავსებისას ბენეფიციარების მხრიდან რაიმე ტიპის გადამდები დაავადების გავრცელების რისკს და საფრთხეს, მნიშვნელოვანია თავშესაფრებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ დაწესებულებაში განთავსებულ ბენეფიციართა ჯანმრთელობის საკითხებს. სიღნაღის თავშესაფრის მსგავსად, აუცილებელია, მოხდეს ბენეფიციართა რეგულარული გეგმური შემოწმება და მათ ანალიზები ჩაუტარდეთ თავშესაფარში შესვლისთანავე, რათა შემცირდეს სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკი.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- მოხდეს ბენეფიციართა და მათზე დამოკიდებულ პირთა ჯანმრთელობის სრული შემოწმება თავშესაფარში მიღებისთანავე, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო დაავადებების/ინფექციების შემდგომი გავრცელება და უზრუნველყოფილ იქნას დროული მკურნალობა;

სიღნაღის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ადმინისტრაციას:

- მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები, რათა თავშესაფარში დროულად მოხდეს სრულყოფილი ფსიქოლოგიური სერვისის შეთავაზება ბენეფიციარებისთვის.

ფიზიკური გარემო, უსაფრთხოება და სანიტარული მდგომარეობა

თავშესაფრებზე საუბრისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ადგილმდებარეობას და უსაფრთხოების საკითხებს, რათა ბენეფიციარებმა და მათზე დამოკიდებულმა პირებმა მაქსიმალურად იგრძნონ თავი დაცულად. არსებითია, რომ თავშესაფარი მდებარეობდეს გასაიდუმლოებულ ადგილას და ამასთანავე აკმაყოფილებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქართველოში მოქმედი ყველა სახელმწიფო თავშესაფარი ქალაქებშია განლაგებული, რის გამოც ისინი შეიძლება სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყოს. ამ საკითხს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა დუბრავკა სიმონოვიჩმაც გაუსვა ხაზი თავის 2016 წლის ანგარიშში.[27]

საერთაშორისო ნორმებით, სასურველია შენობა სპეციალურად თავშესაფრისთვის იყოს აშენებული, რადგან ეს საშუალებას იძლევა მასში გათვალისწინებული იყოს უსაფრთხოების კონკრეტული სტანდარტები და მოთხოვნები, განლაგება, დიზაინი და ა.შ.[28] გარდა ამისა, თავშესაფარში დაცული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ზომები და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს ევაკუაციის გეგმა. მონიტორინგის განხორციელებისას აღნიშნული საკითხი ყველა თავშესაფარში მოწესრიგებული იყო.

უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით, აუცილებელია შენობას ჰქონდეს ღობე და დაცული იყოს არასასურველი ვიზიტორებისგან. მნიშვნელოვანია წყალზე ხელმისაწვდომობა, გათბობის სისტემების გამართულად მუშაობა და კონდიცირება. თავშესაფრის მდებარეობა მოსახერხებელი უნდა იყოს ბენეფიციარებისთვის ისეთი სერვისების გამოყენებისას, როგორიცაა: კლინიკები, პოლიცია, იურიდიული სააგენტოები, სკოლა, ბაზარი, საჯარო ტრანსპორტი და ა.შ.[29]

---

[27] სიმონოვიჩი, დ., ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf

[28] გიერმანი, ლისკა (2013) ძალადობის რისკის ქვეშ ან მსხვერპლი გოგონებისა და ქალების თავშესაფრები. ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრები. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.sheltersafe.ca/

[29] თავშესაფრის სტანდარტები და რეგულაციები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2007

იმ რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, რის წინაშეც დგანან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, შესაძლებელია თავშესაფრებმა შეიმუშაონ უსაფრთხოების განსხვავებული სტრატეგიები. მაგალითისთვის, თავშესაფრებმა მჭიდრო ურთიერთობა უნდა იქონიონ სამართალდამცავ უწყებებთან, რათა საქმის კურსში იყვნენ მოძალადის მიერ საპატიმრო დაწესებულების დატოვების შესახებ; ასევე, ადრეულ ასაკში ქორწინების ან „ღირსების სახელით ჩადენილი“ დანაშაულების შემთხვევაში, თავშესაფრებს უნდა გააჩნდეთ სპეციალური შეთანხმება სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებიც ბავშვთა კეთილდღეობაზე იზრუნებენ და არ დაუბრუნდებიან მოძალადე ოჯახებს; გარდა ამისა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა უსაფრთხოების გათვალისწინებით, თავშესაფრებმა მჭიდროდ უნდა იმუშაონ პოლიციასთან, რათა უზრუნველყონ მსხვერპლების დაცვა იმ ჯგუფებისგან, რომლებიც თავდაპირველად ცდილობდნენ მათ ჩაბმას პროსტიტუციაში ან სხვა ტიპის ტრეფიკინგში.[30]

მონიტორინგის განხორციელებისას დიდი ყურადღება დაეთმო თავშესაფრების ფიზიკურ გარემოსა და საყოფაცხოვრებო პირობებს. მოხდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება, სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, თუ რამდენად იცავენ თავშესაფრის ბენეფიციარები და პერსონალი სანიტარულ რეჟიმს, არის თუ არა თავშესაფრის უსაფრთხოება სათანადოდ დაცული, უზრუნველყოფილია თუ არა ფსიქოთერაპევტის ოთახში კომფორტული გარემო, არის თუ არა თავშესაფრის გარემო მაქსიმალურად მიახლოებული ოჯახურ პირობებთან და ა.შ.

თავშესაფარში არსებულ კომფორტულ და ოჯახთან მიახლოებული გარემოს შექმნას უდიდესი გავლენა აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებზე. მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარებმა თავი არა მხოლოდ დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ, არამედ გაუჩნდეთ განცდა, რომ მათზე ზრუნავენ და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა თავი იგრძნონ მყუდრო გარემოში.

გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სრულად არცერთი თავშესაფარი არ არის ადაპტირებული. ფიზიკური, თუ სხვა ტიპის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარებისთვის ორმაგი ბარიერია თავშესაფარში მოხვედრა, რადგან მათთვის სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა დამატებით სირთულეებს უკავშირდება. მათ კიდევ უფრო ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინფორმაციაზე და ამას ემატება ისიც, რომ არ არსებობს სპეციალური პროგრამები, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარებთან

[30] დაცვის სტრატეგიები თავშესაფრებში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/1412-security-strategies-and-features-in-shelter-facilities.html?next=1413

იმუშავებდა.[31] აღსანიშნავია, რომ დღემდე არცერთ თავშესაფარში არ ჰყოლიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის სექტემბრამდე, თბილისის ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები ერთ შენობაში ფუნქციონირებდა. პირველ სართულზე განთავსებული იყო ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება, ხოლო მეორე სართულზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება. 2016 წლის სექტემბრის თვიდან ტრეფიკინგის მსხვერპლთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება გაერთიანდა და ადმინისტრაციული პერსონალი ორივე კატეგორიის მსხვერპლებისთვის საერთო გახდა.

გაერთიანების მიზეზად თავშესაფრის ადმინისტრაციამ რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა დაგვისახელა. თავშესაფრის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლებს თითქმის ერთი ტიპის საჭიროებები აქვთ. ამასთან, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაწესებულებაში ბენეფიციარები ძირითადად მცირე რაოდენობით არიან განთავსებულნი და შესაბამისად, ამ სართულის გამოყენება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის ხდებოდა.

ვრცლად გთავაზობთ თავშესაფრებში არსებულ ფიზიკური გარემოს შესახებ ინფორმაციას:

გორის თავშესაფრის ადგილმდებარეობის საკითხი პრობლემატურია, რადგან ის მდებარეობს ქუჩის პირას და ეზოთი სარგებლობა თითქმის შეუძლებელია. თავშესაფრის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კონფიდენციალურობის არარსებობის გამო, ხშირია მოძალადე ქმრებისა და ნათესავების თავშესაფარში მისვლა. მიუხედავად შენობაში არსებული დაცვისა და ასეთ შემთხვევებში პოლიციის დახმარებისა, თავშესაფრის ბენეფიციარებისათვის იქმნება დაძაბული გარემო. სიტუაციის შესაცვლელად ადმინისტრაცია უკვე დიდი ხანია ითხოვს თავშესაფრის ღობის გაკეთებას, რომელიც იქნება ისეთი სიმაღლის, რომ ქუჩიდან არ მოხერხდეს შენობაში მყოფი ადამიანების დანახვა.

პირველ სართულზე განთავსებულია ოთახი შშმ პირთათვის, თუმცა არასდროს არ ჰყოლიათ ასეთი საჭიროებების მქონე ბენეფიციარი. მონიტორინგის დროს ოთახი გამოიყენებოდა, როგორც სათავსო, სადაც ინახებოდა საბავშვო ეტლები და საწოლები. ასევე, ფანჯრები საკმაოდ მაღალზეა, რაც ხელმისაწვდომი არ არის შშმ პირთათვის.

თავშესაფრის ორივე სართულზე 9 საცხოვრებელი ოთახია, 1 ოთახი შშმ პირთათვის, ერთი - მისაღები. საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილია საჭირო ავეჯით, თუმცა ზოგიერთი ოთახის ფართობი არ არის საკმარისი მასში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის. თავშესაფარში მეორე სართულზე გათბობის სისტემა მწყობრიდან არის გამოსული, შესაბამისად ბენეფიციარები

[31] ქალები სპეციალური საჭიროებებით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/1397-women-with-disabilities.html?next=1398

საცხოვრებელ ოთახებს ელექტრო გამათბობლის საშუალებით ათბობენ. თავშესაფარში ფანჯრებზე დამაგრებული ფარდა-ჟალუზები საჭიროებს შეკეთებას. ოთახში ძალიან ცოტა ავეჯია და მათი უმრავლესობაც დაზიანებულია და საჭიროებს განახლებას.

თვალშისაცემი იყო თავშესაფრის სამზარეულოს, აბაზანა/ტუალეტისა და კორიდორში ჰიგიენური ნორმებისა და სისუფთავის ნაკლებობა. თავშესაფრის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თავშესაფრის სისუფთავეზე ზრუნავენ თავად ბენეფიციარები. თავშესაფარში არის 2 საკუჭნაო ოთახი, ერთი ჰიგიენისა და ტანსაცმლის მარაგისათვის, ხოლო მეორე კვების მარაგისათვის. თავშესაფარს გააჩნია დიდი აივანი, რომელსაც საშრობად იყენებენ. სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ოთახი აღჭურვილია საკმარისი ინვენტარით. ოთახში არის ბავშვებისათვის მცირე სათამაშოები, თუმცა თავშესაფარში არ არსებობს ბიბლიოთეკა.

თავშესაფარში, პირველ სართულზე არის 2 საპირფარეშო და 1 საშხაპე. აქედან 1 საპირფარეშო გამოყოფილია ადმინისტრაციისთვის. მეორე სართულზე არის 1 საშხაპე და 2 საპირფარეშო. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს მხოლოდ პირველი სართულის საშხაპე. უნდა აღინიშნოს, რომ საპირფარეშოში შეინიშნებოდა ანტისანიტარია და ჰიგიენური ნორმების დარღვევა. არცერთ საპირფარეშოში არ იყო ჰიგიენის შესაბამისი ნივთები. ასევე, საპირფარეშოში არ მუშაობდა ონკანები. გორის თავშესაფარში, მეორე სართულზე არის ცალკე სამზარეულო, რომელიც მეტად კეთილმოწყობილია, თუმცა ნესტისა და სიცივის გამო არ იყენებენ. მეორე სართულის ამ ნაწილში ასევე არის 2 საძინებელი და ოთახი შეხვედრებისათვის, რომელიც დანარჩენ ოთახებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, თუმცა არც ეს ოთახები გამოიყენება გათბობის არქონის გამო.

შესაბამისად, თავშესაფარში გამოვლინდა რიგი ინფრასტრუქტურული და სანიტარული პრობლემები: შენობა ნესტიანია და საჭიროებს რემონტს; სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს აბაზანა, საპირფარეშო, სამზარეულო; ზედმიწევნით გასაწერია სისუფთავესა და ჰიგიენის დაცვაზე თავშესაფრის პერსონალზე გადანაწილებული მოვალეობები. ტექნიკიდან გამოიყენება მხოლოდ მაცივარი. ჭურჭლის სარეცხი მანქანა დასამონტაჟებელია. თავშესაფრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, სამზარეულოში იგეგმება სარემონტო სამუშაოების ჩატარება. თავშესაფარში არ არის საკმარისი ჭურჭელი.

სიღნაღის თავშესაფარი განთავსებულია კერძო სახლში, რომელსაც გააჩნია საკუთარი ეზო. ეზოში არის ბავშვებისთვის გასართობი მოედანი, სადაც დამონტაჟებულია საქანელები და დაყრილია სათამაშო ქვიშა. მხოლოდ სიღნაღის თავშესაფარს გააჩნია ვიდეო კონტროლი. ვინაიდან თავშესაფარი ახალი გახსნილია, არის ახალი გარემონტებული შესაბამისად, კარგ მდგომარეობაშია.

თავშესაფრის პირველ სართულზე არის შშმ პირთათვის განკუთვნილი ოთახი და ასევე საპირფარეშო აბაზანა შესაბამისი ინვენტარით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოთახში

შესასვლელი ზღურბლი საკმაოდ მაღალია და შესაძლებელია ამან დაბრკოლება შეუქმნას შშმ პირს გადაადგილებაში.

თავშესაფრის პირველ სართულზე არის სამზარეულო, მისაღები ოთახი და 2 საშხაპე. სამზარეულო და მისაღები ოთახი კეთილმოწყობილია ყველანაირი ინვენტარითა და ტექნიკით. საშხაპეები იზოლირებულია და პრივატულობაც დაცულია. თავშესაფარს გააჩნია ცენტრალური გათბობა. აბაზანაში არის სარეცხი და საშრობი მანქანები. მეორე სართულზე არის 1 მისაღები და 4 საცხოვრებელი ოთახი, 2 საპირფარეშო და 1 საშხაპე. მისაღებ ოთახში არის შესაბამისი ავეჯი. სხვა თავშესაფრების მსგავსად, აქაც პრობლემატურია ბიბლიოთეკის და ბავშვთა სათამაშოების საკითხი.

საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილია სათანადო ავეჯით. ყველა ოთახში არის ცენტრალური გათბობა და კონდენციონერი. შემოსასვლელში განთავსებულია საჩივრების ყუთი და ბენეფიციართა ჟურნალი, სადაც აღირიცხება მათი გადაადგილება.

გამომდინარე იქედან, რომ სიღნაღის თავშესაფარი არის ახლად აშენებული და გარემონტებული, მასში ყველაზე მეტად მოწესრიგებულია ფიზიკური გარემოსა და უსაფრთხოების საკითხები. თავშესაფარი არის ყველანაირად მომარაგებული და გამართული.

ბათუმის თავშესაფარი განთავსებულია ისეთ შენობაში, სადაც სხვა მომსახურეობის მიღებაც არის შესაძლებელი, შესაბამისად ბენეფიციართა კონფიდენციალურობა არ არის დაცული.

თავშესაფარი ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირთათვის, რაშიც იგულისხმება მხოლოდ შენობის შესასვლელი და აბაზანა/ტუალეტი. საპირფარეშო და საშხაპე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კარები შიგნიდან იღება რაც არ შეესაბამება სტანდარტებს. თავშესაფარში ცალკე ოთახი შშმ პირისთვის არ არის გამოყოფილი. თავშესაფარში ასევე, შესაძლებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარების მიღება, თუ ის საფრთხეს არ შეუქმნის სხვა ბენეფიციარებს.

თავშესაფარში არის 5 ოთახი და შესაძლებელია 15–მდე ბენეფიციარის განთავსება. შენობაში არის 1 საპირფარეშო და 2 საშხაპე, რომლის პრივატულობა[32] არ არის დაცული. ამავე ტერიტორიაზე არის სარეცხი მანქანა და საუთაო მაგიდა. საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, თუმცა მონიტორინგისას გათბობა არ მუშაობდა. თავშესაფრის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რემონტი უახლოეს პერიოდში იგეგმებოდა. თავშესაფრის

[32] საშხაპეს არ ჰქონდა კარი და გამოყოფილი იყო თხელი ფარდით. ზოგ შემთხვევაში, ფარდაც კი არ იყო ჩამოკიდებული.

კედლები ნესტიანია და საჭიროებს რემონტს. რაც შეეხება სამზარეულოს, მასში არის საკმარისი რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნივთები.

მისაღებ ოთახში არის ტელევიზორი და კომპიუტერი შესაბამისი ავეჯით. თავშესაფარში არის ერთი ოთახი, რომელსაც არ გააჩნია არც ფანჯარა და არც სხვა ვენტილაციის საშუალება. ბენეფიციართა მხრიდან მოწოდებული ინფორმაციით ეს ოთახი განკუთვნილია ბავშვების სამეცადინოდ, სადაც რიგრიგობით შედიან და ამზადებენ სკოლის გაკვეთილებს. თავშესაფარში არ არის ბიბლიოთეკა. სპეციალურ ოთახში ინახება ჰიგიენის საშუალებები და ტანსაცმლის მარაგი; აქვე ინახება საკვები პროდუქტები. საჩივრის ყუთი და ჟურნალი, სადაც აღირიცხება ბენეფიციართა გადაადგილება ინახება ასევე სამზარეულოში.

მნიშვნელოვანია, ბათუმის თავშესაფრის შენობა იყოს უფრო მეტად ადაპტირებული, ტექნოლოგიურად აღჭურვილი, ამასთან კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით თავშესაფარი ცალკე შენობაში იყოს განთავსებული.

ქუთაისის თავშესაფარში ინფრასტრუქტურული პრობლემების კუთხით შესამჩნევი იყო ეზოს არარსებობა; ამასთან, თავშესაფრის მდებარეობა ზოგიერთი ბენეფიციარისთვის არ იყო საიმედო, რაც დიდი გამოწვევაა. როგორც აღინიშნა, დღის მანძილზე ბევრი ხალხი მოძრაობს ირგვლივ და გარშემომყოფებისთვის ცნობილია შენობის დანიშნულების შესახებ.

დასახვეწია ფიზიკური გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. კერძოდ, თავშესაფარი ადაპტირებულია მხოლოდ ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის, თუმცა ნაწილობრივ. მაგალითად, ეტლით მოსარგებლე პირი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად საპირფარეშო ოთახით სარგებლობას. სხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის თავშესაფარი ადაპტირებული არ არის.

არსებულ ზოგიერთ ოთახში არ არის კონდიცირება. გამოვლინდა აბაზანაში პრივატულობის დაცვის პრობლემა, რადგან საშხაპეები არ არის იზოლირებული. უნდა აღინიშნოს რომ თავშესაფრის სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში სველი წერტილების რაოდენობა არ შეესაბამება სტანდარტებს.[33] ამჟამად თავშესაფრის მეორე სართულზე განთავსებული 2 სველი წერტილით სარგებლობდა 5 სრულწლოვანი და 8 არასრულწლოვანი პირი. ვიზიტისას აბაზანაში შეინიშნებოდა უწესრიგობა. დაზიანებული იყო ინვენტარი და აბაზანაში არ აღმოჩნდა შესაბამისი ჰიგიენის ნივთები. როგორც თავშესაფრის ადმინისტრაციამ განმარტა, ჰიგიენის ნივთები ყველა ბენეფიციარს საკუთარი აქვს და თავიანთ ოთახებში ინახავენ.

თბილისის თავშესაფარში განხორციელებული ვიზიტის დროს, თავშესაფრების გაერთიანებისა და რეორგანიზაციის გამო შეინიშნებოდა არეულობა და უსუფთაობა.

[33] სტანდარტის მიხედვით 10 პირზე გათვლილი უნდა იყოს 2 სველი წერტილი.

შენობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა ნივთების, მარაგში არსებული პროდუქტებისა თუ ინვენტარის გადაადგილება. ასევე, მიმდინარეობდა მცირე ტიპის სამუშაოები: მონიტორინგის განმავლობაში თავშესაფარში იმყოფებოდა რამდენიმე ხელოსანი, რომლებიც ოთახებში კარის საკეტებს აწესრიგებდნენ.

თავშესაფრის ორივე სართულზე 10 საცხოვრებელი ოთახია და ერთი მისაღები. საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილია საჭირო ავეჯით. მისაღებ ოთახში არის მცირე ავეჯი, რომელთა უმრავლესობა დაზიანებულია. კედლები და იატაკი საჭიროებს შეკეთებას. ასევე, თვალშისაცემი იყო ისეთი ტიპის ჰიგიენური ნორმებისა და სისუფთავის ნაკლებობა, რასაც ვერ მივაწერთ რეორგანიზაციას. კონდიცირება იყო მხოლოდ მისაღებ ოთახში. გაერთიანებულ თავშესაფარში ჯამში 3 საშხაპე და 4 საპირფარეშოა. აქედან 1 საპირფარეშო გამოყოფილია ადმინისტრაციისთვის. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 2 საშხაპე, თუმცა მსხვერპლები მხოლოდ ერთი საშხაპით სარგებლობენ. მსხვერპლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აბაზანაში შესვლის დროები ისე აქვთ განაწილებული, რომ რიგი არ დადგეს. თავშესაფრის სრული დატვირთვის შემთხვევაში (თავშესაფარში ერთდროულად შესაძლებელია 20-22 პირის მოთავსება) სველი წერტილების არსებული რაოდენობა არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ სააბაზანო ოთახშივეა მოწყობილი საშრობი, რაც არ არის რეკომენდირებული და საჭიროებს გამოსწორებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრის სააბაზანო და საპირფარეშო ოთახში მოსაწესრიგებელია და საჭიროებს ინვენტარის განახლებას. საერთო ოთახში ავეჯი მოძველებული და გამოსაცვლელია. როგორც ადმინისტრაციაში განაცხადეს, იმის გამო რომ მსხვერპლებს არ აქვთ საცხოვრებლის საკუთრების შეგრძნება, არ ზრუნავენ ნივთებზე და ინვენტარის განახლების საჭიროება ხშირია.

თავშესაფრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, თავშესაფარში სარემონტო სამუშაოები ბოლოს 2006 წელს ჩატარდა, ხოლო მას შემდეგ შენობა არ გარემონტებულა. შესაბამისად, მისასალმებელია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2017 წლის იანვრიდან ამერიკის საელჩოს მხარდაჭერითა და დახმარებით იგეგმება სარემონტო სამუშაოების განხორციელება.[34]

დაწესებულების დერეფნებში გამოკრულია თავშესაფარში არსებული წესების შესახებ ინფორმაცია, ასევე დგას საჩივრების ყუთი და უკუკავშირის ჟურნალი, სადაც მსხვერპლებს შესაძლებლობა აქვთ ანონიმურად დააფიქსირონ პრეტენზიები და მოსაზრებები.

თავშესაფრის საცხოვრებელი პირობები შეძლებისდაგვარად დამაკმაყოფილებელია, თუმცა გამოვლინდა რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემები: თავშესაფარში, შენობის პირველი სართული ნესტიანია, რის გამოც კედლები საჭიროებს რემონტს; შენობა არ არის

[34] აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვაწოდა თავშესაფრის უფროსმა, თუმცა დამატებითი დეტალები მისთვის უცნობი იყო.

ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მიუხედავად შენობაში შესასვლელი პანდუსისა; სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს აბაზანა, სადაც 2 სველი წერტილიდან ერთი არ ფუნქციონირებს. საშხაპეები ერთმანეთისგან გამოყოფილია ფარდით; აბაზანაში არსებული ფართობი საკმარისია, თუმცა ეს ფართი ასევე გამოიყენება ტანსაცმლის გასარეცხად, გასაშრობად და გასაუთოებლად.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ თავშესაფრებმა არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა, რათა საყოფაცხოვრებო პირობები და ფიზიკური გარემო ბენეფიციართათვის გახდეს მაქსიმალურად სახლის პირობებთან მიახლოებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადგილმდებარეობის პრობლემურობის გამო, თავშესაფრით მოსარგებლეებს არ უნდა უჩნდებოდეთ დაუცველობის შეგრძნება. თავშესაფრის ადგილმდებარეობის კონფიდენციალობა და მოსარგებლეთა პირადი სივრცე სათანადოდ უნდა იყოს დაცული. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა თავშესაფარში, გარდა სიღნაღისა, პრობლემური იყო ბავშვებისთვის და ბენეფიციარებისთვის ეზოს კეთილმოწყობის საკითხი. ყველა თავშესაფარში დგას თავშესაფრების სრულყოფილად ადაპტირების პრობლემა, რაც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა თავშესაფრით სარგებლობა პოტენციურად შეეძლოს ყველა პირს. გარდა ამისა, მოსაწესრიგებელია გათბობის საკითხი და პრივატული საშხაპეები, რაც ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული სივრცის შექმნისათვის აუცილებელია.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- მეტი ყურადღება დაეთმოს თავშესაფრების ეზოებისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის საკითხს
- დაიხვეწოს თავშესაფრის ფიზიკური გარემო შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა მომსახურებისთვის, ადაპტირდეს შენობები, რათა მაქსიმალურად იყოს მიახლოებული სავალდებულო სტანდარტებს
- თავშესაფრის ადგილმდებარეობა იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ შესაძლებელი იყოს თავშესაფრით მოსარგებლე პირთა კონფიდენციალობის, პირადი სივრცისა და უსაფრთხოების დაცვა
- განახლდეს თავშესაფრის ინვენტარი და ყურადღება მიექცეს გათბობის სისტემის გამართულ მუშაობას
- თავშესაფრებში შეიქმნას/განახლდეს ბიბლიოთეკა და სამკითხველო/სამუშაო სივრცე.

კვება

მონიტორინგისას ასევე დიდი ყურადღება დაეთმო კვების საკითხს. ამ მიმართულებით შემოწმდა დღის მენიუს შესაბამისობა თავშესაფრების მარაგში არსებული საკვებთან, პროდუქტის ვარგისიანობის ვადები, თავშესაფრის სათავსოები და კვების ბლოკების სისუფთავის საკითხი. იხილეთ დეტალური ინფორმაცია თითოეულ თავშესაფარში გამოვლენილი ხარვეზებისა და ტენდენციების შესახებ:

გორში მოხდა პროდუქტებისა და საკუჭნაოს დათვალიერება. დღის მენიუ შესაბამისობაში იყო მარაგში არსებულ საკვებთან. თავშესაფრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, საკვებით მომარაგება ხდება კვირაში ერთხელ, ოთხშაბათ დღეს. თავშესაფარში რძის პროდუქტებიდან არ იყო მაწონი, ხაჭო და არაჟანი. კარაქს ვადა საერთოდ არ ჰქონდა მითითებული, შესაბამისად ვერ მოხერხდა ვარგისიანობის შემოწმება. ბოსტნეულის, ხორცის და ბურღულეულის მარაგი იყო საკმარისი. სეზონური ხილიდან მარაგში იყო მხოლოდ ვაშლი. რაც შეეხება ბავშვთა კვების საკითხს, დაწესებულების კვების ნორმები შედგენილია სკოლამდელი დაწესებულების კვების ნორმების მიხედვით. ჩვილი ბავშვები იკვებებიან ხელოვნური საკვებით, რის მიწოდებასაც უზრუნველყოფს თავშესაფარი.

გამომდინარე იქედან, რომ **სიღნაღის** თავშესაფარში არ იმყოფებოდნენ ბენეფიციარები, (თავშესაფარში იყო მხოლოდ 1 ბენეფიციარი), მარაგში არ ჰქონდათ ყველის გარდა არც ერთი რძის პროდუქტი. ბოსტნეულისა და ხორცის მარაგი საკმარისი იყო ერთი ბენეფიციარისთვის. ასევე, არ იყო ხილი და მურაბის სახეობები. თავშესაფარში ინახებოდა საკმარისი რაოდენობის ბურღულეული.

ბათუმის თავშესაფარში რძის პროდუქტებიდან ადგილზე არ იყო რძე და მაწონი. ბოსტნეული სეზონის შესაბამისად იყო მომარაგებული. მაცივარში ინახებოდა მხოლოდ ქათამი და თევზი. რაც შეეხება ხილს, თავშესაფარში არ იყო არანაირი ხილის მარაგი. ასევე თავშესაფრის მარაგში არ იყო ჯემი, თაფლი, ბარდა და ლობიო.

ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი) გამოვლინდა გარკვეული პრობლემები ბენეფიციართა კვების კუთხით. მონიტორინგის განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ დღის მენიუ შედგენილი იყო ფორმალურად და მასში გათვალისწინებული ზოგიერთი საკვები თავშესაფარში არსებულ მარაგში საერთოდ არ აღმოჩნდა.

მონიტორინგისას მაცივარში აღმოჩნდა ისეთი საკვები, რომელიც არ იყო მოთავსებული დახურულ კონტეინერში. ბენეფიციართა გამოკითხვისას, აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა საკვებით კმაყოფილია, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დამატებითი ულუფის მიღება. კვების კუთხით პრეტენზია მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა დააფიქსირა. მისი თქმით, ულუფები თანაბრად ნაწილდება, თუმცა როდესაც სურს მიიღოს დამატებითი საკვები, ამის შესაძლებლობა არ გააჩნია.

მონიტორინგისას მარაგში არსებულ მალეფუჭებად რძის პროდუქტებზე (არაჟანი, ხაჭო) არ იყო მითითებული ვადები, უფრო მეტიც, მარაგში ინახებოდა პროდუქტი, რომლის მოხმარების ვადაც რამდენიმე დღის წინ იყო გასული. ამავდროულად, ადგილზე არსებული მარაგის შემოწმებისას არ აღმოჩნდა ბავშვთა კვებისთვის მნიშვნელოვანი პროდუქტები (მაგ. ყველი, რძე, მრავალფეროვანი ბოსტნეული და ა.შ.).

თბილისის თავშესაფრის პროდუქტებისა და საკუჭნაოს დათვალიერებისას დღის მენიუ შესაბამისობაში იყო მარაგში არსებულ საკვებთან. თავშესაფრის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საკვებით მომარაგება ხდება კვირაში ერთხელ.

თავშესაფრების გაერთიანების გამო, გაერთიანდა თავშესაფრების მარაგში არსებული საკვები პროდუქტებიც. ვიზიტის დროს მარაგში აღმოჩნდა ვადაგასული რძის პროდუქტი, რომელიც საჭიროებდა ჩამოწერას. კარაქს, ხორცს, თევზს და გარკვეულ პროდუქტებს, მათ შორის რძის ფხვნილს ვადა საერთოდ არ ჰქონდა მითითებული, შესაბამისად ვერ მოხერხდა მათი ვარგისიანობის შემოწმება. როგორც ადმინისტრაციამ აღნიშნა, აღნიშნულ საკვებს იღებენ წონით, ხოლო მოგვიანებით თავად აფასოებენ პატარა ნაწილებად და შესაბამისად, ვადასაც არ უთითებენ.

თავშესაფრის მარაგის შემოწმებისას ასევე აღმოჩნდა, რომ ისეთი ბოსტნეული, როგორიც არის კიტრი, ჭარხალი და კომბოსტო იყო საკმაოდ ძველი და ობიანი. ასევე, არ იყო სეზონური ხილი. რაც შეეხება ბავშვთა კვების საკითხს, დაწესებულების კვების ნორმები შედგენილია სკოლამდელი დაწესებულების კვების ნორმების მიხედვით. ჩვილი ბავშვები იკვებებიან ხელოვნური საკვებით, რის მიწოდებასაც უზრუნველყოფს თავშესაფარი. რაც შეეხება წლამდე ბავშვებს, ისინი მიირთმევენ დაბლენდერებულ საკვებს და ფაფებს. როგორც მონიტორინგის განხორციელებისას გვეცნობა, ფონდმა აიყვანა ნუტრიოლოგი და მოხდა სპეციალურ მენიუს შედგენა, რომელიც ჯერ დამტკიცებული არ არის. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ნუტრიოლოგმა დადებითი შეფასება მისცა თავშესაფრის მენიუს. უნდა აღინიშნოს, რომ განმეორებით ვიზიტისას, თავშესაფარში კვების კუთხით პრობლემა არ გამოვლენილა.

საბოლოო ჯამში, კვების მხრივ თავშესაფრებში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. თუმცა, აუცილებელია თავშესაფრის ადმინისტრაცია მეტ ყურადღებას აქცევდეს იმ გარემოებას, რომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში თავშესაფარში იყოს კვების სტანდარტული პაკეტით გათვალისწინებული პროდუქტი. ამასთან, აუცილებელია, პროდუქტის შესყიდვა ხდებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს, თავად თავშესაფრის პერსონალის მიერ პროდუქტის დამზადების და ვარგისიანობის ვადის მუდმივი კონტროლი.

<u>**რეკომენდაცია:**</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ადმინისტრაციას:

- დაიხვეწოს პროდუქტის შესყიდვის პრაქტიკა და პროდუქტის შესყიდვა მოხდეს ოფიციალური დოკუმენტაციის საფუძველზე, რათა შესაძლებელი გახდეს პროდუქტის დამზადებისა და ვარგისიანობის ვადების შემოწმება.

სოციალური აქტიურობის ხელშეწყობა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა

საცხოვრებლით უზრუნველყოფის და უსაფრთხოების გარდა, მნიშვნელოვანია თავშესაფრებმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს შესთავაზონ ფსიქოლოგიური დახმარება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი ფსიქო-რეაბილიტაციის პროცესში.[35] თავშესაფრით მოსარგებლე პირები უნდა გაძლიერდნენ შემდეგი მიმართულებით:

- მუდმივი კონსულტაციები და ტრავმის შემცირებაზე ორიენტირებული პროგრამები
- ქალთა ჯგუფების მხარდაჭერა და პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება <u>გამოცდილების გაზიარებით</u> (peer-based encouragement).

ქალთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა შემთხვევის მართვის გეგმების მეშვეობით, რათა გაიზარდოს ბენეფიციართა არჩევანი და შესაძლებლობები, (მაგალითად, იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური) რაც მათ დაეხმარება თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს და იზრუნონ საკუთარი მიზნების მისაღწევად.

კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკური დამოკიდებულება ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია მსხვერპლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, დარჩეს თავშესაფარში, ან დაუბრუნდეს მოძალადე პარტნიორს. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ფაქტორი უფრო მეტად უწყობს ხელს ქალების მოწყვლადობას ძალადობის შემთხვევებში, მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრებმა ბენეფიციარებს შესთავაზონ ეკონომიკური დახმარება, რათა თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ მათ შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრება.[36]

გარდა ფინანსური უზრუნველყოფისა, რაც ხშირ შემთხვევაში თავშესაფრებისთვის გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული ბიუჯეტის გამო, თავშესაფრებმა შესაძლებელია

---

[35] გიერმანი, ლისკა (2013) ძალადობის რისკის ქვეშ ან მსხვერპლი გოგონებისა და ქალების თავშესაფრები. ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრები. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.sheltersafe.ca/

[36] ეკონომიკური განვითარება და შესაძლებლობები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.endvawnow.org/en/articles/1457-economic-development-and-opportunities.html?next=1458

მსხვერპლებს შესთავაზონ სხვადასხვა სერვისები აღნიშნული მიმართულებით. შესაძლებელია, მათ უფრო მეტი იზრუნონ, ბენეფიციარებს ასწავლონ კონკრეტული უნარები სამუშაოს ძიების მიმართულებით, ჩართონ სხვადასხვა პროგრამებში და გაუადვილონ ხელმისაწვდომობა ამ პროგრამებზე.

ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, სასურველია თავშესაფრებმა მჭიდროდ ითანამშრომლონ კერძო სექტორთან და ამით უზრუნველყონ იმ სერვისის შეთავაზება, რომლის განხორციელებაც მათ არ შეუძლიათ თანხების არქონის გამო.[37]

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების, იგივე თავშესაფრის შინაგანაწესის თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობების მიხედვით,[38] სოციალურ მუშაკის უფლება-მოვალეობებში შედის განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები ბენეფიციარის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; ბენეფიციართა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებდეს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან დაკავშირებას და მომსახურებების კოორდინაციას.

გამომდინარე იქედან, რომ თავშესაფარი ითვალისწინებს სოციალური მუშაკის შტატს, მნიშვნელოვანი იყო შეგვემოწმებინა ამ მიმართულებით რა გამოწვევები და საჭიროებები არსებობს ბენეფიციარებისთვის.

გორში ბენეფიციართა დასაქმებაზე ძირითადად ზრუნავს სოციალური მუშაკი და ეხმარება მათ დარეგისტრირდნენ დასაქმების მაძიებელთა ბაზაში. თავშესაფრის უფროსის თქმით, რაიმე ხელსაქმის შესწავლის შესაძლებლობა არ არის. **სიღნაღის** თავშესაფარში განაცხადეს, რომ დასაქმების შესაძლებლობა დამოკიდებულია თავშესაფრის პერსონალის პირად კონტაქტებზე და ეს სამუშაო ძირითადად გულისხმობს გამყიდველის ან კონსულტანტის პოზიციას. **ბათუმის** თავშესაფარში ბენეფიციარები რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს სამსახურის მაძიებელთა ბაზაში, ამასთან თავშესაფარი საკუთარი რესურსით ეძებს სამსახურებს ბენეფიციართათვის (პირადი კონტაქტებით). ყოფილა შემთხვევები, როდესაც გადამზადების კურსებს სთავაზობდა არასამთავრობო ორგანიზაცია. სოციალურ მუშაკთან საუბრისას გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში ბენეფიციარებს თავად არ სურთ, ან არ არიან მზად მუშაობისთვის. მისასალმებელია, რომ **ქუთაისის** თავშესაფარში დასაქმების საკითხი ყველაზე მეტად იყო მოწესრიგებული, რადგან თავშესაფარში განთავსებული 5 ბენეფიციარიდან 4 პირი დასაქმებული იყო. **თბილისის** თავშესაფარში აღნიშნეს, რომ დასაქმების პროგრამებით ბენეფიციართა უზრუნველყოფა პრობლემატურია

---

[37] იქვე.

[38] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-tavshesafari

და ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ისიც, რომ თავშესაფარში განთავსებულ პირებს ძირითადად თავიდანვე ისეთი სამსახურის პოვნა უნდათ, რომელიც ანაზღაურებადია და ნაკლებად ფიქრობენ სხვადასხვა პროფესიული უნარების შეძენასა და ამ მხრივ განვითარებაზე.

რაც შეეხება ბენეფიციარებზე მორგებული გასართობი, შემეცნებითი თუ სხვა ტიპის ღონისძიებების არსებობას, აღნიშნული შემოწმდა როგორც ბენეფიციარებთან ინტერვიუირების დროს, აგრეთვე პერსონალთან გასაუბრებისას.

გორის თავშესაფარში ჩვენს მიერ გამოკითხულმა 2-მა ბენეფიციარმა ვერ გაიხსენა შემთხვევა, როდესაც თავშესაფრის ინიციატივით რაიმე აქტივობა ჩატარდა. მათი თქმით, მხოლოდ ერთხელ იყვნენ თავშესაფარში სტუმრად უცხოელები, რომლებმაც გარკვეული აქტივობები ჩაატარეს მათთვის. რაც შეეხება გასართობ/რეკრეაციულ ღონისძიებებს, ადმინისტრაციის განცხადებით, ძირითადად იგეგმება ფონდის მიერ და ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარები წაიყვანეს თბილისში. ასევე ბენეფიციარები დაჰყავთ თეატრში, საახალწლო და სხვა ღონისძიებებზე და რეკრეაციულ ზონებში სასეირნოდ. თავშესაფარში დასაქმებული პერსონალიდან თითქმის ყველამ აღნიშნა ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი ეზოს პრობლემა და მათთვის შემეცნებითი გასართობების შეთავაზება. არასრულწლოვნები სპორტზე, ცეკვაზე ან სხვა აქტივობაზე დადიან იმ შემთხვევაში, თუ უფასო კურსებს მოიძიებს თავშესაფარი და მშობელიც გამოთქვამს სურვილს.

სიღნაღში მყოფი ბენეფიციარების და მათზე დამოკიდებული პირებისთვის სხვადასხვა აქტივობებს ძირითადად გეგმავს თავად თავშესაფარი. მაგალითად, თავშესაფრის ეზოში ყვავილების დარგვის დროს დაიხმარეს ბენეფიციარები (ვისაც სურვილი ჰქონდა), ასევე საჭმლის მომზადების სურვილს თუ გამოთქვამს ბენეფიციარი აძლევენ ამის საშუალებას, შესაძლებლობის ფარგლებში. რაც შეეხება გასართობ ღონისძიებებს, ადმინისტრაციიდან გვეცნობა, რომ თავად ბენეფიციარები იშვიათად გამოთქვამენ ღონისძიებებზე დასწრების სურვილს.

ბათუმის თავშესაფარში გარკვეული ტიპის აქტივობები იშვიათად ტარდება. ბენეფიციარები დაჰყავთ კინოში, ასევე იშვიათად შეიძლება გავიდნენ სასეირნოდ. შესაძლებლობის ფარგლებში, მსხვერპლს აძლევენ უფლებას თავად მოამზადოს საკვები. არასრულწლოვნებს აქვთ შესაძლებლობა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში უფასოდ იარონ სპორტზე. თუ ამის სურვილს გამოთქვამს ბენეფიციარი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვი დადიოდა რაგბიზე, ბოქსზე. თავშესაფარში საერთო ოთახში დგას კომპიუტერი.

ქუთაისის თავშესაფარში დამოკიდებული არასრუწლოვანი პირების რაოდენობა დიდია. არასრულწლოვნები განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიის არიან, თუმცა მათი ასაკის შესაბამისი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების საშუალება თავშესაფარში უზრუნველყოფილი არ არის. ამასთან იშვიათად ტარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვებისთვის. ბავშვებზე მზრუნველობას ახორციელებს ძიძა. ძიძას საჭიროების

შემთხვევაში, დახმარებას თავშესაფარში მომუშავე პირები უწევენ. სარეაბილიტაციო ღონისძიებები ხშირად არც სრულწლოვანი ბენეფიციარებისთვის ტარდება. ბენეფიციარებმა გაიხსენეს მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც მწერალი ქალი მათ ლიტერატურულ საღამოებს უწყობდა. თავშესაფარში არის ტელევიზორი და ბიბლიოთეკა. ინტერნეტი ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოფილი არ არის.

თბილისის თავშესაფარში განმეორებით ვიზიტისას გამოსწორებული იყო ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება, რომლის ფარგლებშიც თავშესაფარმა უზრუნველყო ფსიქოლოგის მოვალეობის შემსრულებლის აყვანა. აღსანიშნავია, რომ თავშესაფარში ვიზიტისას ფსიქოლოგი არ იმყოფებოდა ადგილზე, თუმცა მსხვერპლებმა დაადასტურეს მათთან შეხვედრისა და გასაუბრების ფაქტი. დამატებითი ვიზიტისას კვლავ გამოვლინდა მსხვერპლებისთვის, მათ შორის არასრულწლოვანი პირებისთვის მათი ინტერესების შესაბამისი აქტივობების ნაკლებობა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა თავშესაფარში გამოიკვეთა პრობლემა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ნაკლებობის მიმართულებით, როგორც დასაქმებული პერსონალის, ისე თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარების და დამოკიდებული პირების მხრიდან. განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს ბავშვების განვითარებაზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობების და ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც ყველა თავშესაფრის პრობლემაა და მეტ ყურადღებას საჭიროებს.

თავშესაფრებში ასევე გამოწვევას წარმოადგენს ბიბლიოთეკების და სამუშაო/სამკითხველო სივრცის მოწყობის საკითხი, რადგან, როდესაც ვსაუბრობთ მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე, მნიშვნელოვანია რომ მათ შევთავაზოთ სხვადასხვა საშუალებები, რითაც ისინი მოახდენენ თვითგანვითარებასა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ამ მიმართულებით, კი ცალსახად აუცილებელია მათთვის შესაბამისი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა და შეთავაზება. ამ მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, შესაბამისი პროგრამებისა თუ პროექტების მოძიება, რომლებშიც შესაძლებელი იქნება როგორც ბენეფიციარების, ისე მათზე დამოკიდებული პირების ჩართვა.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- გადაიხედოს თავშესაფრების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამები და მეტი დრო და რესურსი დაეთმოს სარეაბილიტაციო პროგრამებისა და აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას
- გაფართოვდეს და გაღრმავდეს თავშესაფრების თანამშრომლობა ადგილობრივ

არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ბენეფიციართა შემდგომი რეაბილიტაციისა და დასაქმების პერსპექტივის მიმართულებით

- თავშესაფრებმა მეტი ყურადღება დაუთმონ დასაქმების კუთხით არსებულ პროგრამებს და ბენეფიციარებს შესთავაზონ ყველა შესაძლო რესურსი ამ მიმართულებით
- თავშესაფრებმა უზრუნველყონ თემატური გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება მსხვერპლთა ჩართულობისა და ცნობიერების გაზრდისაკენ.

მსხვერპლთა/დაზარალებულთა როლი გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში

მონიტორინგის განხორციელებისას თავშესაფრის პერსონალის გამოკითხვისას გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ადმინისტრაციას ხშირ შემთხვევაში უჭირს მსხვერპლთა დარწმუნება სხვადასხვა სერვისით სარგებლობის, დასაქმების, თუ განათლების მიღების შესაძლებლობებში. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკა ამცირებს მსხვერპლთა ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ერთის მხრივ, რეალურად, ძალიან რთულია დაარწმუნო ძალადობის მსხვერპლნი, მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იმ საკითხებზეც კი, რომელიც მათ უშუალოდ ეხებათ;[39] იქნება ეს თავშესაფარში ყოფნის ვადის გაგრძელების საკითხი, თუ თავშესაფრის დატოვების შემდგომი გეგმა. მეორეს მხრივ, უკიდურესად მნიშვნელოვანია უშუალოდ მსხვერპლები/დაზარალებულები იყვნენ ჩართულნი ამ პროცესებში და სწორედ მათი წარსული გამოცდილების გაზიარებითა და ცოდნით იქნას დახვეწილი მსხვერპლებზე მორგებული სერვისები.

თავშესაფრების შინაგანაწესის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის და მათზე დამოკიდებული პირების შემთხვევის მართვის მიზნით უნდა განხორციელდეს:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის ინტერვიუირება და მისი საჭიროებების (მათ შორის დამოკიდებულ პირებზე) შეფასება მისი თავშესაფარში მოთავსებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
- ფსიქოლოგიური, სოციალური, სამედიცინო, იურიდიული მომსახურებების დაგეგმვა და განხორციელება
- საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან დაკავშირება და მომსახურებების კოორდინაცია.

[39]სელინჯერი, ფრეცერო: „დაცული სამოთხე: სექსუალური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით მომსახურება“, კალიფორნია, ბერკლი, 2013.

ამასთან, თავშესაფრის მულტიდისციპლინური გუნდი (თავშესაფრის სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მედდა, ძიძა, იურისტი) ახორციელებს თავშესაფრის ბენეფიციარის შემთხვევის მართვას, ბენეფიციართან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემის იდენტიფიცირებას და მსჯელობს მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებზე.

იმ მართვის გეგმებიდან, რომელიც საქართველოში მოქმედი თავშესაფრებიდან გამოვითხოვეთ, ნათელია, რომ ძალადობის მსხვერპლთა ჩართულობა ამ გეგმების შედგენასა და მართვაში მინიმალურია, და ამ გარემოების ახსნა მსხვერპლთა მოტივაციის არქონით არ შეიძლება იქნას გამართლებული. სასურველია, რომ თავშესაფრის ბენეფიციარები, თავშესაფრის პერსონალის დახმარებით, აქტიურად იყვნენ ჩართულნი თავშესაფრის დატოვების შემდგომი გეგმის მომზადებაში თავშესაფარში განთავსების ადრეულ ეტაპზევე, რაც ბენეფიციარებისგან მოითხოვს შესაძლო არჩევანის, რესურსებისა და მოკავშირეების იდენტიფიცირებას საზოგადოებაში და თავშესაფრიდან გასვლის გეგმის სპეციფიური ნაბიჯების გაწერას.

ასევე, უნდა ხდებოდეს თავშესაფრის ბენეფიციართა მდგომარეობის მონიტორინგი მუდმივად მას შემდეგ, რაც ისინი დატოვებენ თავშესაფარს. შინაგანაწესის მიხედვით, ეს ვალდებულება აკისრია თავშესაფრის სოციალურ მუშაკს. ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელია მოხდეს როგორც სატელეფონო ზარის მეშვეობით, ისე საცხოვრებელ ადგილას ვიზიტებით. შესაძლებელია, ამ მიზნით, ბენეფიციარები თავშესაფრის დატოვების შემდეგაც იყვნენ ჩართულნი რიგ ღონისძიებებში/სერვისებში ან აქტივობებში, რომელშიც მანამდე იღებდნენ მონაწილეობას, რათა არ იყოს წყვეტა ფსიქოლოგიური დახმარების თუ ტრენინგში მონაწილეობის მხრივ.

როდესაც ვსაუბრობთ მსხვერპლთა/დაზარალებულთა მონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია ვახსენოთ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება №341). სამოქმედო გეგმის მიხედვით, მიმართულება IV გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) მონაწილეობის უზრუნველყოფას პოლიტიკის შემუშავების პროცესებში. აღნიშნული მიმართულების განხორციელებისთვის, საქართველოს მთავრობამ სწორედ სახალხო დამცველის აპარატი გამოყო წამყვან უწყებად[40].

[40] აღნიშნულის მისაღწევად, თავშესაფრების მონიტორინგის გარდა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2017 წლის პირველ ნახევარში გეგმავს მსხვერპლთა/დაზარალებულთა ჩართვას პოლიტიკის გადახედვის/შემუშავების პროცესში. ამ მიმართულებით, დაგეგმილია ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება პოლიტიკის ფორმირებისთვის.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- უზრუნველყოს თავშესაფრის ბენეფიციართა მდგომარეობის ეფექტური მონიტორინგი, მუდმივად, მას შემდეგ, რაც ისინი დატოვებენ თავშესაფარს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ადმინისტრაციას:

- გაითვალისწინოს ბენეფიციართა აზრი და შეხედულებები, უზრუნველყოს მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგი ჩატარდა თბილისისა და ბათუმის თავშესაფრებში და მიზნად ისახავდა სერვისის მიწოდების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას; ასევე, ბენეფიციართა საჭიროებების შეფასებას. თბილისსა და ბათუმში არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები) წარმოადგენენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულს.

მონიტორინგის ჩატარებისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე, რომლებიც დარეგულირებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) შინაგანაწესით:

- დაწესებულების სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა
- კვება/კვების ობიექტი
- სამედიცინო მომსახურება
- დაწესებულებაში მყოფ ბენეფიციართა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის ურთიერთობა
- შიდა გასაჩივრების მექანიზმები
- ბენეფიციართა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია
- იურიდიულ და სამედიცინო დახმარება
- დაცვის ღონისძიებები.

თავშესაფრის ადმინისტრაციისგან ზოგადი ინფორმაციის მისაღებად შედგენილ იქნა სპეციალური გამოკითხვის ფურცელი. გასაუბრების შედეგად ის ხარვეზები თუ დადებითი ასპექტები გამოიკვეთა, რომელიც თავს შეიძლება მართვის პროცესში იჩენდეს. ასევე, მოხდა საცხოვრებლის ვიზუალური დათვალიერება და სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება. მონაცემების სრულყოფილად მოპოვების მიზნით, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან, რომლის დაქვემდებარებულ სტრუქტურას წარმოადგენენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიღება ორივე თავშესაფარში ხორციელდება დაზარალებულად ცნობის საფუძველზე. ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შედეგად. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგისას არც თბილისის და არც ბათუმის თავშესაფარში ტრეფიკინგის არცერთი მსხვერპლი არ იმყოფებოდა. შესაბამისად, შესაძლებელია თავშესაფრის ადმინისტრაციისგან მოწოდებული ინფორმაცია ყოფილიყო ცალმხრივი. აქედან გამომდინარე, რთულია შევაფასოთ ბენეფიციართა პერსპექტივიდან დანახული სერვისის მიწოდების ხარისხი. როგორც გვეცნობა, ამ დრომდე ტრეფიკინგის არცერთი მსხვერპლისთვის არ უთქვამთ უარი თავშესაფარში განთავსებაზე. უმეტესად ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლები სარგებლობენ.

2016 წლის მონაცემებით, **ბათუმის** თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 1-მა ტრეფიკინგის მსხვერპლმა და ისიც 1 დღით. გასულ წელს ასევე, 1 ბენეფიციარი ჰყავდათ, რომლისთვისაც ვადა არ გაუგრძელებიათ, რადგან ბავშვი შეეძინა და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდა.

2015 წლის მონაცემებით, **თბილისის** ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 4-მა ტრეფიკინგის მსხვერპლმა, რომელთაგანაც 2 მათზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირი იყო. აქედან, 3 შემთხვევაში დაფიქსირდა შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევა, ხოლო 1 შემთხვევაში - სექსუალური ექსპლუატაციის საქმე. 2016 წელს თავშესაფარს დაემატა მხოლოდ 1 ბენეფიციარი. ასევე, 2016 წელს მომსახურების მიღებას განაგრძობდა 2015 წელს მიღებული 2 ბენეფიციარი.

2015-2016 მიღება-გადინება	**ჩაირიცხა 2015**	**ამოირიცხა 2015**	**ჩაირიცხა 2016**	**ამოირიცხა 2016**
სრულწლოვანი (მსხვერპლი)	6	7	1	2
არასრულწლოვანი (მსხვერპლი)	0	5	0	0
დამოკიდებულ პირი	2	0	0	0

სულ	**8**	**7**	**1**	**2**

თავშესაფრის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თავშესაფარში ვადის გაგრძელებას მხოლოდ ის პირები ითხოვენ, რომელთაც საცხოვრებლის პრობლემა აქვთ. სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ, ვადის გაგრძელება მულტიდისციპლინური ჯგუფის (თავშესაფრის უფროსი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) წევრების გადაწყვეტილებით ხდება, ინდივიდუალური მართვის და გადასინჯვის გეგმების გათვალისწინებით. როგორც გვეცნობა, თავშესაფრის ვადის გაგრძელებისთვის ადმინისტრაციას 2015 წელს მიმართა მხოლოდ 1-მა ბენეფიციარმა. თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თავშესაფრის დატოვების შესახებ მინიმუმ 2 კვირით ადრე ატყობინებენ ბენეფიციარს.

თავშესაფრის დატოვების მიზეზი	**2015 წელი**	**2016 წელი**
გადავიდა ცალკე საცხოვრებლად	4 სრულწლოვანი ბენეფიციარი და 1 დამოკიდებული პირი	1 სრულწლოვანი ბენეფიციარი
გადავიდა სხვა ინსტიტუციაში	0	0
დაბრუნდა სამშობლოში (რეპატრიაცია)	1 სრულწლოვანი ბენეფიციარი და 1 დამოკიდებული პირი	1 სრულწლოვანი ბენეფიციარი

ორივე თავშესაფარში არის ძიძის შტატი და თარჯიმანი დაწესებულებაში მოჰყავთ საჭიროებისამებრ. ბათუმის თავშესაფარი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის, განსხვავებით თბილისის თავშესაფრისგან, რომელიც ვერ გაუწევს მომსახურებას ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირს.

თბილისის თავშესაფარში ინფექციური დაავადების მქონე პირების მოთავსება შესაძლებელია სპეციალურ იზოლატორში და საჭიროების შემთხვევაში გამოეყოფა აბაზანაც, რომლის დეზინფექციას ახდენს მედდა. მოწოდებული ინფორმაციით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტაციონარში განთავსებაც. აღნიშნული საკითხი ბათუმის თავშესაფარში მოგვარებულია შემდეგნაირად: თუ პირი საფრთხეს უქმნის სხვა ბენეფიციარებს და ის წარმოშობს კონკრეტული დაავადების გადადების საფრთხეს, მისი გადამისამართება ხდება სტაციონარში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

რაც შეეხება ტრეფიკინგის მიმართულებით პერსონალის გადამზადებას, ორივე თავშესაფარში ყველა თანამშრომელს აქვს გავლილი ტრენინგები,[41] ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მიმართულებით. ტრენინგებს ატარებს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე თავად ფონდი. თავშესაფრის წესებთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია ორივე თავშესაფარში. ბენეფიციარების ან პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირებულა შინაგანაწესის დარღვევის არცერთი ფაქტი; მხოლოდ წვრილმანი საკითხები, როგორიც იყო, მაგალითად, ტელევიზორში სხვადასხვა გადაცემების ყურების სურვილი, რაც ფსიქოლოგის ჩარევის შემდგომ მოგვარებულა.

ორივე თავშესაფარში რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის თავიანთი რიტუალების განხორციელება შესაძლებელია საკუთარ ოთახში. უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ თავშესაფრის მკვიდრთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია: კონფიდენციალური მისამართით, დაცვით და გასვლა მოსვლის აღრიცხვით. თავშესაფრის ადმინისტრაცია ბენეფიციარს გარეთ გასვლას ვერ აუკრძალავს, შესაბამისად, ხდება გაფრთხილება შესაძლო რისკებთან დაკავშირებით. აქვე, თავშესაფრის ბენეფიციარს უფლება აქვს უარი განაცხადოს პირადი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, თუმცა ადმინისტრაციის განმარტებით, იმისათვის რათა სრულყოფილი დახმარება მიიღონ გარკვეულ სერვისებზე, უმჯობესია ინფორმაცია მიაწოდონ თავშესაფარს.

ბათუმის თავშესაფარში ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის გეგმები მოიცავს ფსიქოლოგიურ, იურიდიულ, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხებს. აქტივობები დროში გაწერილია და გეგმის მიხედვით ხორციელდება. მოგვიანებით, ხდება ახალი საჭიროებების გამოვლენა. თავშესაფრის ფსიქოლოგი მუშაობს ბენეფიციარებთან. ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს. ადრე იყო შესაძლებლობა გარკვეული ხელსაქმით დაკავებულიყო ბენეფიციარი, მაგალითად: თექა, ქარგვა, მძივების აწყობა და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს არ აქვს პროფესია ცდილობენ რაიმე ასწავლონ იმისთვის რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლოს.

თბილისის თავშესაფარში ფსიქოლოგი ადგენს ბენეფიციარებთან მუშაობის გრაფიკს, ატარებს როგორც ინდივიდუალურ ისე ჯგუფურ შეხვედრებს. მოწოდებული ინფორმაციით, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით ტარდება ფსიქოლოგიური თერაპია, სოციალური მუშაკი მუშაობს ბენეფიციარების დასაქმების, გადამზადების, დროებითი საცხოვრებლის მოძიების, ბავშვების ბაღში/სკოლაში დარეგისტრირების მიმართულებით. თავშესაფარი მსხვერპლს ასევე ეხმარება ოჯახთან კავშირის აღდგენის მიმართულებით, უწევს იურიდიული დახმარებას და ეხმარება დოკუმენტების მოწესრიგებაში.

[41] თავშესაფრის თანამშრომლებისთვის, მათივე მოწოდებული ინფორმაციით, ტრენინგები ტარდება საშუალოდ წელიწადში 2-ჯერ.

ბენეფიციართა რეაბილიტაციის გეგმა დგება 2 ეტაპად. თავდაპირველად ხდება ბენეფიციარის მთლიანი საჭიროებების გამოვლენა, ხოლო შემდეგ მათი დახარისხება, რათა პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნას გადაუდებელი საჭიროებების მოგვარება. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები გარკვეულ ვადებში ხორციელდება და ისინი გაწერილია თავიდანვე. ბენეფიციარების ასაკის შესაბამისად ხდება მათი ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში. მაგალითისთვის, არსებობს შრომის თერაპიის ინსტრუქციები, ხდება ხელსაქმით დაკავება და სხვა. თავშესაფარში სხვადასხვა ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო შეხვედრა მწერალთან, რამდენიმეჯერ იყვნენ თეატრში, ასევე ბავშვთა გასართობ ცენტრში და სხვა.

არასრულწლოვანთა არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მშობლების თანხმობით ხდება და სარეგისტრაციოდ პირველად შენატანს - 50 ლარა ფონდი უზრუნველყოფს, რადგან თბილისის თავშესაფრის დირექტორის ინფორმაციით, მშობლებს უმეტესად ეზარებათ ამ პროცედურების გავლა და როგორც წესი არ არეგისტრირებენ ბავშვებს. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლები ხშირად ერთმანეთს უზიარებენ ცოდნასა და გამოცდილებას ხელსაქმეში.

იურიდიული კუთხით მსხვერპლებს ორივე თავშესაფარში ეხმარებათ ფონდის იურისტი სარჩელების მომზადებისა და დოკუმენტების მოწესრიგების მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია სასამართლო წარმომადგენლობაც. ამ მიმართულებით უმეტესად დგება დანაშაულის გამო ზიანის ანაზღაურების საკითხი. ყველაზე ხშირად სასამართლოს წარმომადგენლობის საჭიროება აქვს ტრეფიკინგის მსხვერპლ ბენეფიციარებს.

გარდა ამისა, თბილისის თავშესაფრის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პრობლემას წარმოადგენს საბუთების აღდგენის პროცედურები, რადგან კანონმდებლობაში მითითებულია, რომ არსებობს განსხვავებული წესი ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. საბოლოოდ, როგორც პრაქტიკიდან ირკვევა, ტრეფიკინგის მსხვერპლებიც იგივე წესით იღებენ საბუთებს და შესაბამისად, არსებობს აღნიშნული ნორმის განმარტების საჭიროება. აგრეთვე, ძალადობის მსხვერპლებს მართალია თავშესაფარში ყოფნის პერიოდში ყველა მომსახურებით უზრუნველყოფს ფონდი, თუმცა მნიშნელოვანია მცირედი მატერიალური დახმარების გაცემაც, რადგან ზოგჯერ მსხვერპლს იმის ფულიც კი არ აქვს, რომ სამსახურში ტრანსპორტით წავიდეს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ თავშესაფრები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლმა თავი იგრძნოს დაცულ და საიმედო გარემოში. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ მნიშვნელოვანია გარკვეული ღონისძიებების გატარება, რაც უფრო მეტად შეუწყობდა ხელს სერვისის განვითარებას და დახვეწას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოხდეს სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების დახვეწა და გააქტიურება, რაც მსხვერპლებს მისცემს შესაძლებლობას მეტად ინტეგრირდნენ საზოგადოებაში.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- უზრუნველყოფილ იქნას ბენეფიციართათვის თარჯიმნის დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება.